საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 13 სექტემბერი, 2014 წელი.

№186 (7567)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვერი სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბერთის გაფანა ყვეფა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ბიძინა ივანიშვილი:

შეეგუონ ჟურნალისტები, რომ ისინი არ არიან რაღაც განსაკუთრებული ხალხი

②

③

გია მეფარიშვილი:

მასობრივი ჩხრეკა ძალიან ცუდად დასრულდება!

ბიზნესის მიერ სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენაზე რეგულაციები მკაცრდება

②

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მიხეილ სააკაშვილისგან მოსყიდვაში დასდეს ბრალი

⑧

უკვდავება დიდი მეცნიერისა

⑤

და მამულიშვილისა

აკადემიკოსი მამია გოგოლიშვილი – 100

პატრიარქი თურქეთში ქართული ეკლესიისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებას და წირვა-ლოცვის აღდგენას ითხოვს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე თურქეთის რელიგიურ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელს მეჰმედ გორმეზის შეხვდა. მეჰმედ გორმეზი საპატრიარქოში წარმომადგენლობითი დელეგაციით იმყოფება. პატრიარქმა გორმეზის ვიზიტს მნიშვნელოვანი და ისტორიული უწოდა.

პატრიარქმა საუბრის დასაწყისში აღნიშნა, რომ იგი სიყვარულით იხსენებს თურქეთში ვიზიტს და იმედოვნებს, რომ მეჰმედ გორმეზის ვიზიტი გაგრძელება იქნება იმ ძმური და მეგობრული ურთიერთობის, რომელიც მისი ვიზიტის დროს თურქეთში დაიწყო.

„მე არ დამავიწყდება ის ძმური და მეგობრული შეხვედრები, რომელიც ჩვენ გქვონდა თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში. შეიძლება ითქვას, რომ ამის ახალი ეტაპი იქნება ჩვენი ურთიერთობები და ჩვენ ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. უნდა ითქვას, რომ ურთიერთობა ჩვენს შორის ყველას არ მოსწონს. მაგალითად, ის რაც მოხდა ამ დღეებში, რომლის შესახებ ჩვენ სპეციალური განცხადება გავაკეთეთ, ასევე ის რაც მოხდა ჩემი თურქეთში ვიზიტის წინ, როდესაც დაანგრიეს ერთ-ერთი ქართული ეკლესია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ გაღიზიანებული ურთიერთობები იყოს ჩვენს შორის. ჩვენ არ უნდა მივაქციოთ ასეთ მოვლენებს ყურადღება, იმიტომ რომ ჩვენი ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანია ხალხისთვის“, – აღნიშნა პატრიარქმა.

უწმინდესმა საუბრისას ასევე გაიხსენა ის ფაქტი, რომ ის აღზრდილია ისეთ ოჯახში, სადაც მუსულმანებს პატივს სცემდნენ. პატრიარქის განცხადებით, მის მშობლებს ჩრდილოეთ კავკასიაში მრავალი მუსლიმანი მეგობარი ჰყავდათ და როდესაც ისინი მათთან სტუმრად ჩამოდიოდნენ, მისი მშობლები მუსულმან სტუმრებს ყველაზე დიდ ოთახს უთმობდნენ. იქ ხალიჩას ფენდნენ, რათა მუსულმან მეგობრებს შესძლებოდათ ლოცვა. პატრიარქმა აღნიშნა, რომ თავად მისი ოჯახის წევრები მეორე ოთახში ხატებთან ლოცულობდნენ, შემდეგ კი ერთად სუფრასთან სხდებოდნენ და სადილს მიირთმევდნენ.

იხ. 2 გვ.

◎ სარედაქციო ფოსტიდან

ვინ „ჩაგრავს“ ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთს

პირდაპირ საკვირველია ამჟამინდელი ფოსტის დამოკიდებულება საერთოდ პრესის და განსაკუთრებით ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთის მიმართ. ჯერ ერთი, ძალიან გულსატკენია, რომ თანამედროვე საქართველოში აღარც ფოსტალიონია და, შესაბამისად, აღარც საფოსტო ყუთები ჰკიდია სადარბაზოებში. არადა, ხან რომელი მთავრობა ტრაბახობს, ხან რომელი სახელმწიფო შევძენიო.

თქვე დალოცვილებო, გაიკითხეთ მაინც, განა არის მსოფლიოში ისეთი სახელმწიფო, სადაც მოქალაქე ვერც წერილს იღებს ფოტალიონის საშუალებით და ვერც ხელმოწერილ ჟურნალ-გაზეთებს?! პირდაპირ სამარცხვინოა.

ამ ბარათს წყნეთიდან გწერთ დევნილები. ყოველ დილით მიჩერებულნი ერთ ობოლ საგაზეთო კიოსკს, სადაც ვიღაცის ჭკუის თუ უჭკუობის გამო, რაც მოეპრიანებათ, ხან რომელი ჟურნალ-გაზეთები მოაქვთ, ხან რომელი. ბევრს დევნილები სიძვირის გამო, როგორც იტყვიან, ახლოს ვერც ვეკარებით.

ჩვენ, მაგალითად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ძველი მკითხველები ვართ, ვინაიდან ამ გაზეთის ფურცლებზე ხშირად იბეჭდება დევნილებისა თუ ლტოლვილების ბევრ მტკივან, საჭირბოროტო საკითხზე. მაგრამ არ ვიცით, ვისი მოპრიანების წყალობით, ეს ყოველდღიური გაზეთი ხან მოაქვთ, ხანაც მთელი კვირა თვალით ვერ ვხედავთ.

ნუთუ ასე ძნელია „საქართველოს რესპუბლიკის“ აგრერიგად მიზანმიმართული „ჩაგვრის“ მიზეზის დადგენა. ვინ არიან ის ადამიანები, ვისაც თვალში არ მოსდის ეს მუდამ მართლის მთქმელი და სიმართლისთვის მებრძოლი გაზეთი?!.

ომარ კეკელია, გურამ შენგელია, ზურაბ კაპანაძე,
დ. წყნეთი

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პატრიარქი თურქეთში ქართული ეკლესიისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებას და წირვა-ლოცვის აღდგენას ითხოვს

(პირველი გვერდიდან)

პატრიარქმა ასევე გაიხსენა ის ფაქტი, რომ საბჭოთა პერიოდის დროს, საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა მუსულმანები ჩრდილოეთ კავკასიიდან შუა აზიაში გაესახლებინათ, პატრიარქის მამამ შესთავაზა თავის მუსულმან მეგობრებს, რომ მათ შვილებს იშვილებდა, რათა შუა აზიაში არ გადაესახლებინათ. უწმინდესის თქმით, მოგვიანებით ინგუშეთის პრეზიდენტის რუსლან აუშევის მეშვეობით მან მოძებნა მისი ოჯახის მუსულმანი მეგობრების შთამომავლები და დღემდე აქვთ ურთიერთობა. პატრიარქმა ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ ბოლო წლებში საქართველოში 300-ზე მეტი მეჩეთი აშენდა, თურქეთში კი ქართული სალოცავები არ არის.

უწმინდესის თქმით, თურქეთში ყველა ქრისტიანულ ეკლესიას, კერძოდ, ბერძნულს, სომხურს, რუსულს აქვს იურიდიული სტატუსი, ქართულს კი — არა. პატრიარქმა ასევე ისაუბრა იმის შესახებაც, რომ შესაძლებელია რელიგიის საკითხებზე სხვა კუთხითაც ურთიერთობის განმტკიცება და თანამშრომლობა.

პატრიარქის ინფორმაციით, რიზეს უნივერსიტეტი საპატრიარქოს უნივერსიტეტთან დაძმობილებულია, შესაძლებელია ასევე თბილისის სასულიერო სემინარიის და აკადემიის და თურქეთში, რომელიმე სასულიერო სასწავლებელთან ურთიერთობის ჩამოყალიბება.

პატრიარქმა საუბრისას ასევე აღნიშნა, რომ მისი ბოლო ვიზიტის დროს თურქეთში ისაუბრეს ორმხრივი ქართულ-თურქული კომისიის შექმნის შესახებ, რომელშიც ოთხი წევრი საქართველოს მხრიდან შევა, ოთხი - თურქეთის მხრიდან. უწმინდესმა აღნიშნა, რომ ეს კომისია უკვე შექმნილია საქართველოში და, როგორც მისთვის არის ცნობილი, თურქეთშიც ჩამოყალიბდა.

პატრიარქმა შეხვედრაზე კიდევ ერთი საკითხი დააყენა. კერძოდ, არის შემთხვევები, როდესაც ისტორიულად ქართულ ტაძრებს ითვისებენ სხვა ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლები. პატრიარქმა შეხვედრაზე ითხოვა ისტორიულად ქართულ ეკლესია-მონასტრებთან ქართულად და თურქულად იყოს გაკეთებული წარწერები, რომ ისინი ქართული წარმოშობისაა.

უწმინდესი საუბრისას ასევე შეეხო თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ქართულ ტაძრებში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებს და აღნიშნა, რომ საჭიროა ორივე მხრიდან ამ ტაძრების რესტავრაციისადმი ყურადღება, რადგან ეს უფრო მეტ შედეგს გამოიღებს. პატრიარქმა ასეევ ხაზი გაუსვა არქეოლოგიური გათხრების ჩატარებას ამ ტაძრებში, რომელიც ბევრ საკითხს გადაწყვეტს.

◎ რეზონანსი

მეცნიერებათა აკადემია მზადაა კვლევებში მონაწილეობის მისაღებად

გამოხმაურება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2014 წლის 30 აგვისტოს ნომრის პუბლიკაციაზე „დივერსია საქართველოს წინააღმდეგ“

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებამ, განიხილა ენგურჰესის წყალსაცავის მიმდებარე, მეწყრულ ზონაში არსებული თაბაშირის კარიერთან დაკავშირებული საკითხები.

აღინიშნა, რომ ენგურჰესის ექსპლუატაციისას, წყლის დონის შევსება-დამუშავების დროს, მეწყრული მასივი მუდმივად განიცდის ძალისმიერ ზემოქმედებას. დამატებით კი ამ ზოლში თაბაშირის კარიერული წესით მოპოვებამ, შესაძლებელია, მეწყერის მოძრაობა გააქტიუროს, რაც გაუთვალისწინებელ ტექნოგენურ შედეგებს გამოიწვევს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრობლემის შესასწავლად აუცილებელია, ჩატარდეს კომპლექსური საინჟინრო კვლევები (გეოლოგიური, გეოფიზიკური, გეოდეზიური, და სხვა), რის საფუძველზეც გადაწყდება თაბაშირის კარიერული ექსპლუატაციის საკითხი.

მეცნიერებათა აკადემია მზადაა, მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კვლევებში.

ანალოგიური შინაარსის წერილი გაეგზავნათ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს კ.კალაძეს და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს ე. ხოკრიშვილს.

ბიძინა ივანიშვილი: შეეგუონ ჟურნალისტები, რომ ისინი არ არიან რაღაც განსაკუთრებული ხალხი

მედია ვერ იქნება ტაბუდადებული თემა, — ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს.

როგორც ივანიშვილი ამბობს, „ძალიან ხშირად შეეხება“ ამ თემას და მედიის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს დიდ დროს დაუთმობს.

„ძალიან ხშირად მიმიღია საყვედური, რომ ვბედავდი და მედიას ვსაყვედურობდი, მაგრამ მედია ვერ იქნება ტაბუდადებული თემა. მედიაში მომუშავე ადამიანები არიან ჩვეულებრივი ადამიანები — საზოგადოების წევრები და ისინიც უნდა ექვემდებარებოდნენ კონტროლსა და, თუ გნებავთ, კრიტიკას. როგორც ჩემ დროს, როცა ვახერხებდი კრიტიკული აზრი გამომეთქვა, ისე დღეს, თუკი დღევანდელი მთავრობიდან ამას ვინმე მოახერხებს, მიდის საშინელი აჟიოტაჟი, რომ ხდება მედიაზე ძალადობა და ა.შ. რა თქმა უნდა, მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მედია თავისუფალი იყოს ხელისუფლებისგან (რადგან ყველაზე მეტად საშიშია, თუ ხელისუფლება ერევა და ძალადობს მედიაზე), მაგრამ ის, რომ ამ თემას ტაბუ დაადო — მედიას არ შეეხო და არ გააკრიტიკო, ეს ვერ მოხდება. მე ძალიან ხშირად შევეხები ამ თემას — ახლავე ვაფრთხილებ ჟურნალისტებს, შეიძლება სპეციალური გადაცემა და საათებიც მივუძღვნა იმის ანალიზს, როგორია დღევანდელი მედია, ვინ არიან მეპატრონეები თუ ჟურნალისტები. მე ამას არ მოვერიდები. ეს განწყობა ახლავე მიიღონ და შეეგუონ ჟურნალისტები, რომ ისინი არ არიან რაღაც განსაკუთრებული ხალხი, არიან საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები, მათაც შეიძლება შეეშალოთ და იმ სურათს ნუ დახატავენ, რასაც სააკაშვილი აკეთებს, რომ არის პოლიტიკურად დევნილი“, — აცხადებს ივანიშვილი.

ყოფილი პრემიერის შეფასებით, მთავრობის წევრის მხრიდან მედიის მისამართით კრიტიკის გამოთქმა „მის სიძლიერედ შეიძლება ჩავთვალოთ“.

„ნებისმიერ მოქალაქეს, სადაც არ უნდა მსახურობდეს და რა პოზიციაც არ უნდა ეკავოს, უნდა ჰქონდეს კრიტიკული აზრის გამოთქმის უფლება. თუ ამას ბედავენ და ამ დროს მედიის თავისუფლებას თავს ვერავინ ესხმის, ეს არის იდეალური — თუ ამას მთავრობის წევრი ბედავს და, ამავდროულად, არანაირი ნიშანი არაა, რომ მან შეიძლება მედიაზე ზეწოლა მოახდინოს ან მოახდინა, იდეალურია. ე.ი მას სუფთა ზურგი აქვს. ეს მის სიძლიერედ შეიძლება ჩავთვალოთ. ის იწვევს მედიას და უპასუხონ. დღეს ვერავინ იტყვის, რომ მედიასაშულებს თავრობის რომელიმე წევრის პასუხის უფლება არ აქვთ“, — აღნიშნავს ყოფილი პრემიერი.

ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ, თუ მედიას ტაბუ დაედო, ეს ყველაზე დიდი უბედურების მომტანი იქნება.

პრემიერი „თეთრი ქალაქის“ პროექტს გაეცნო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანში ოფიციალურ ვიზიტს განაგრძობს. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, იგი „თეთრი ქალაქის“ პროექტს გაეცნო.

„თეთრი ქალაქი“ — ეს არის მასშტაბური პროექტი, რომელიც 10 წლის ვადაში უნდა დასრულდეს.

„თეთრი ქალაქის“ პროექტირება საერთაშორისო არქიტექტორების დახმარებით მოხდა. ის აერთიანებს სასტუმროებს, საცხოვრებელ სახლებს და სარეკრეაციო ზონებს ყველა ასაკის ადამიანისთვის.

◎ სანქციები დაეკისრებათ

ბიზნესის მიერ სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენაზე რეგულაციები მკაცრდება

უახლოეს მომავალში ბიზნესისათვის სტატისტიკური მონაცემების წარდგენა სავალდებულო გახდება. საკანონმდებლო ცვლილებებზე მთავრობა უკვე მუშაობს და კანონთა პაკეტის ცვლილების ინიცირებით პარლამენტს ოქტომბერ-ნოემბერში მიმართავს. კანონი, რომელიც ბიზნესსუბიექტებს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების წარდგენას დაავალდებულებს, სავარაუდოდ, 2015 წლიდან ამოქმედდება. იმ კომპანიებს, რომლებიც სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენაზე უარს იტყვიან, სანქციები დაეკისრებათ. როგორც „საქსტატის“ აღმასრულებელი დირექტორი მერი დაუშვილი აცხადებს, ბიზნესკომპანიები ხშირად არ თანამშრომლობენ სტატისტიკის სამსახურთან, რის გამოც რთულდება ზუსტი ბიზნესსტატისტიკის წარმოება.

დღეისათვის საქართველოში ბიზნესსექტორის მიერ „საქსტატისთვის“ სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენის წესები რეგულირდება „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონით. იგი საწარმოებს სტატისტიკური ანგარიშების წარმოდგენას არ ავალდებულებს, „საქსტატს“ კი არ აქვს უფლება მიიღოს რამე ზომები იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც უარს აცხადებენ კვლევებში მონაწილეობაზე, ყოველივე ეს კი ბიზნესსექტორთან დაკავშირებული სანდო სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებას საკმაოდ ართულებს.

აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებს დადებითად უყურებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **იოსებ არჩვაძე** და bpn-თან საუბრისას აღნიშნავს, რომ ეს ცვლილებები ბიზნესსუბიექტებისთვის რაიმე სახით ზიანის მომტანი არ იქნება.

„ჯერჯერობით აღნიშნული კანონის საბოლოო ვარიანტი გასაჯაროებული არ არის, თუმცა, მეც ვემხრობი ამ მიმართულებით კანონმდებლობის გამკაცრებას, რადგან საჭიროა რეალური წარმოდგენა გვქონდეს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ქართულ ბიზნესში. მაგალითად, ბიზნესსექტორის მიერ სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენის საკმაოდ მკაცრი კანონმდებლობა არსებობს ესტონეთში, ბულგარეთში, პოლონეთში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. 2005 წლამდე მსგავსი კანონი საქართველოშიც არსებობდა, თუმცა, ბიზნესგარემოს ლიბერალიზაციის მიზნით, ის გააუქმეს. შესაბამისად, დღეს მსგავსი კანონის მიღება ველოსიპედის ხელახლა გამოგონებას არ ნიშნავს.

რაც ბიზნესმა უნდა გაითავისოს ისაა, რომ ამ კანონის მიღება არ გამოიწვევს მათი კომერციული საიდუმლოს გასაჯაროებას და კონკურენტებისთვის მის წვდომას, რადგან ასეთი ტიპის ინფორმაციის საიდუმლო დაცულია კანონით. ცალკეული მონაცემების გამოქვეყნება ხდება მხოლოდ კრებსითი მაჩვენებლების გაანგარიშების შემდეგ, აგრეგირებულად და არა ცალკეული ბიზნესსუბიექტების მიხედვით, რაც მათ არანაირ პრობლემას არ უქმნის. შესაბამისად, ამ კანონის მიღებით უფრო მეტად გაუმჯობესდება წარდგენილი ინფორმაციის ხარისხი“, — აცხადებს არჩვაძე.

საინტერესოა თავად ბიზნესის პოზიცია აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით...

კომპანია Mate Motors-ის დირექტორი ავთანდილ გელავა bpn-თან საუბრისას აღნიშნავს, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილება რაიმე სერიოზულ ზიანს მათ არ მოუტანს.

„დღეს ქართულ ბიზნესგარემოში არსებობს სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემები, ვიდრე ის, რაც ამ საკანონმდებლო ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს. კომერციული საიდუმლოს დაცულობის თვალსაზრისით კი უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მისი დაცვა საკმაოდ რთულია. მაგალითად, ანგარიშსწორების უდიდესი ნაწილი დღეს საბანკო სექტორის მეშვეობით ხდება და მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემები საჯაროდ არ ქვეყნდება, ფაქტია, რომ კომპანიების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საკმაოდ დიდი ნაწილი გარეთ მაინც გადის. შესაბამისად, თუ „საქსტატი“ მონაცემთა გამოქვეყნებას უშუალოდ ცალკეული კომპანიების მიხედვით არ მოახდენს, ეს არანაირ პრობლემას არ შეუქმნის კერძო სექტორს“.

კომპანია ATA partners-ის თანადამფუძნებელი გიორგი კვერხელიძე ფიქრობს, რომ დღეს, როცა კანონპროექტი დამუშავების ეტაპზეა, რთულია რამე დასკვნების გაკეთება. „ეს ცვლილება ბიზნესზე შეიძლება აისახოს როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად, თუმცა, დაზუსტებით ამის თქმა რთულია, რადგან უცნობია, უშუალოდ როგორი იქნება აღნიშნული კანონპროექტის საბოლოო სახე“, — ამბობს კვერხელიძე.

ლაშა კელიხაშვილი

◎ გვეხმაურებიან

„გრუზია“, „ჯორჯია“ თუ „საქართველო“?

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილს
საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ დავით უსუფაშვილს

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თავისი არსებობის 23 წლის მანძილზე ფართომასშტაბიან საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ პროექტთან ერთად მრავალ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებას ახორციელებს.

ასოციაციის ხელმძღვანელთა და წევრთა ყურადღება მიიპყრო საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, „დედაენის“ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლის, გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემლის ბატონ ანზორ ბაბუხადიას ავტორობით „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულმა ღია წერილებმა, რომლებშიც იგი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ აუცილებელია მოგვარდეს ჩვენი სამშობლოს ისტორიული სახელის — „საქართველოს“ მოხსენიება ყველა ენაზე და ყველა ქვეყანაში, როგორც „საქართველო“ და არა — „გრუზია“, „ჯორჯია“, „გურჯისტანი“, „ვრასტანი“ და ა. შ.

მიგვაჩნია, რომ საკითხი მეტად დროული და საყურადღებოა, განსაკუთრებით ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

ასოციაცია ერთსულოვნად უჭერს მხარს ბატონ ანზორ ბაბუხადიას წინადადებას.

მოგმართავთ თხოვნით, ყურად იღოთ ეს პატრიოტული მოსაზრება.

პაგივისცემით,
ასოციაციის თავმჯდომარე
მაია კვეზერელი-კოპაძე,

თანათავმჯდომარე
ნელი გურგენიძე.

გია მეფარიშვილი: მასობრივი ჩხრეკა ძალიან ცუდად დასრულდება!

„სიმკაცრეს არასოდეს შეუქმნია გამოსავალი. ეფექტურობის თვალსაზრისით გარკვეული დატვირთვა აქვს, მაგრამ შემდეგ საზოგადოება ამას ეჩვევა და სიტუაცია კიდევ უფრო იძაბება“, — ასე ეხმაურება პროფესორი, გადამდგარი იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი გია მეფარიშვილი პრემიერ-მინისტრის ინიციატივას იარაღის ტარებასთან დაკავშირებული რეგულაციების კიდევ უფრო გამკაცრებასთან დაკავშირებით. იუსტიციის სამინისტრო შესაბამის კანონპროექტს მთავრობის მომავალ სხდომაზე წარადგენს.

დღეს ჩვენი სტუმარია გია მეფარიშვილი.

— შექმნილი კრიმინოგენური მდგომარეობიდან გამომდინარე, პრემიერ-მინისტრმა შს და იუსტიციის მინისტრებს დავალება მისცა, რომ იარაღის ტარებასთან დაკავშირებული რეგულაციები კიდევ უფრო გაამკაცრონ. კანონის მაქსიმალურად გამკაცრება არის გამოსავალი?

— გარკვეული გართულებები ნამდვილად აღინიშნება და ბრმა უნდა იყო, ამას რომ ვერ ხედავდე. თუმცა, არაფერი განსაკუთრებული და არაფერი არაორდინალური აქ არ არის. დანაშაული რთული სოციალური მოვლენაა და მისი გამომწვევი მიზეზები შეიძლება პირობით დავყოთ ობიექტურ და სუბიექტური ხასიათის მიზეზებად. ობიექტური მიზეზები — მძიმე სოციალური ფონი, უმუშევრობა, დაბალი შემოსავალი, ნარკოტიკებთან დამოკიდებული საკითხის მოუწესრიგებლობა. რაც შეეხება სუბიექტურ მიზეზებს — ამაში შედის სხვადასხვა კონკრეტული მიზეზები, რომელიც დამოკიდებულია სახელმწიფოს, მისი თანამდებობის პირების გაუმართლებულ მოქმედებებთან.

ასეთი პირობები არსებობს ნებისმიერ ქვეყანაში და მათ შორის — საქართველოში. ვგულისხმობ საკანონმდებლო ბაზას, გაუმართავ პენიტენციურ სისტემას, არაჯეროვან ოპერატიულ სამსახურებს, დაბალი გამოძიების ხარისხს და ა.შ. ეს ყველაფერი რეალურია და შევხედოთ რეალურად. ყოველივე ამას სჭირდება სახელმწიფოებრივი მიდგომა და სახელმწიფოებრივად აზროვნება. თუ ჩვენ ვფიქრობთ, რომ რეგულაციების გამკაცრებით ეშველება ქვეყანას, ეს არის ფუჭი ილუზია.

— თუ არა რეგულაციების გამკაცრება, მაშინ სახელმწიფოს რა გზა რჩება დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლისა?

— სიმკაცრეს არასოდეს შეუქმნია გამოსავალი. ეფექტურობის თვალსაზრისით, გარკვეული დატვირთვა აქვს, მაგრამ შემდეგ საზოგადოება ამას ეჩვევა და სიტუაცია კიდევ უფრო იძაბება. ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას სახელმწიფოებრივად წყვეტს, ყოველთვის ხელმძღვანელობს გარკვეული თეორიებით. ეს არის სოციალური და ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, რომლის გაკეთება დღეს საქართველოში წარმოუდგენელია.

არსებობს ერთი ძალიან კარგად აპრობირებული სისტემა, დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, სადაც გაწერილია კონკრეტული პირობები, კონკრეტული სუბიექტები — ვის რა ევალება და პასუხისმგებელი პირები, რომლებმაც უნდა მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება. ასეთი პროექტები არსებობს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. დიდი ხანია ვლაპარაკობ, დავფიქრდეთ და ვიფიქროთ ასეთი პროგრამის შემუშავებაზე. მესმის, რომ რთული ვითარებაა, რადგან არ გვყავს საკმარისი საკადრო რესურსი.

— თუკი არ არსებობს საკადრო რესურსი, ასეთ შემთხვევაში რამდენად შესაძლებელია ამ დოკუმენტების საკანონმდებლო დონეზე მომზადება?

— ძალზე სუსტად, მაგრამ შესაძლებელია. კვალიფიციური კადრების ნაკლებობა სახეზეა. არსებული კონკრეტული სამართალდარღვევის გახშირების გახსნის კოეფიციენტების დაცემის მიზეზი, ასევე დაკავშირებულია დაბალი კვალიფიკაციის კადრების არსებობაზე. მიაქციეთ ყურადღება, როგორია გახსნის კოეფიციენტი? დანაშაულის რა რაოდენობა გამოვლიდება, რა რაოდენობა იხსნება და როგორ იხსნება. სასამართლოზე წასული საქმეებიდან, რომელ საქმეზე დაადგინა სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი და თუ ამ სამივეს ანალიზს გააკეთებთ, ნახავთ, რომ საქართველოში საცეკვაო განწყობა არავის უნდა ჰქონდეს.

— თუმცა, განსხვავებულია სტატისტიკური მაჩვენებელი. შსს-ს სტატისტიკური მონაცემებით, დანაშაულის რაოდენობამ იკლო, გახსნის მაჩვენებელმა იმატა...

— სტატისტიკურ მონაცემებს აწარმოებს ის უწყება, რომელიც დანაშაულს ებრძვის. ასეთი კოშმარი არ შეიძლება სხვაგან არსებობდეს. შსს და პროკურატურა დანაშაულის წინააღმდეგ სტატისტიკას არ უნდა აწარმოებდეს. რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ?! ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ამას აკეთებს დაუინტერესებელი მხარე, ამ შემთხვევაში, იუსტიციის სამინისტრო. შსს ორგანულად დაინტერესებულია, რომ მაჩვენებელი იყოს მისთვის სასარგებლო. აღირიცხოს ის, რაც გახსნადია ან გაიხსნება.

იციან თუ არა თბილისელებმა, რომ ბაზრობებზე, მაღაზიებში, მიკროავტობუსებში ისევ გაჩნდნენ ჯიბის ქურდები, მათ შორის ქალები, საკუთარი თვალით ვხედავ და ვაკვირდები სიტუაციას. ეს არის ურთულესი გამოსაძიებელი და გამოსავლენი საქმე. ძალიან ბევრი რამეა გასაკეთებელი. 10 წელია, ვითომ რეფორმას აკეთებდნენ და დააქციეს, გაანადგურეს ყველაფერი.

იციან თუ არა თბილისელებმა, რომ ბაზრობებზე, მაღაზიებში, მიკროავტობუსებში ისევ გაჩნდნენ ჯიბის ქურდები, მათ შორის ქალები, საკუთარი თვალით ვხედავ და ვაკვირდები სიტუაციას. ეს არის ურთულესი გამოსაძიებელი და გამოსავლენი საქმე. ძალიან ბევრი რამეა გასაკეთებელი. 10 წელია, ვითომ რეფორმას აკეთებდნენ და დააქციეს, გაანადგურეს ყველაფერი.

როგორც ყოფილ სამართალდამცავს, ძალიან მაღელვებს გამოძიების დღევანდელი მდგომარეობა. უმძიმესი მდგომარეობაა. გაუაზრებელი კანონმდებლობა, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საპროცესო, რომელიც კონსტიტუციური წინააღმდეგობებით არის სავსე. ფიქრობს ვინმე ამის გასწორებაზე?- სამწუხაროდ არა. არის მხოლოდ მსუბუქი კოსმეტიკური რემონტი. მტკიცებულებათა დეფინიციის ცნება, რაც დღეს არის ჩვენს კანონმდებლობაში, წინააღმდეგობაშია კონსტიტუციასთან. სამწუხაროდ, ადვოკატურა ვერ იყენებს ამ შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს დაბალეფექტურობის გამო, ნებისმიერ საქმეებს დაანგრევდნენ. ეს არის პრობლემა.

ევროპულ სასამართლოებში იზრდება საჩივრების რაოდენობა. ამაზე უნდა იფიქროს ხელისუფლებამ, მათ შორის სამართლიანობის აღდგენის პროცესზე, რომელიც ორი წელიწადია გაჭიანურდა, თავი და ბოლო არ უჩანს. არ დამალავს ეს ფაქტი თავს. ამას მოჰყვება ვენდეტა, შიდა დაპირისპირების პროცესი. 15-მდე ასეთი შემთხვევაა დაფიქსირებული. ხან ციხის უფროსებს სცემენ, ხან პროკურორებს უწვავენ მანქანას, ხან პოლიციის თანამშრომლებს უფეთქებენ სახლებს და ა.შ. თუ სამართლიანობის პროცესი არ დაიძრა, ასეთი პროცესი ისევ იქნება.

რაც შეეხება რეგულაციებს, პირდაპირ გეტყვით, რომ ძალიან მეეჭვება მისი ეფექტურობა, რადგან ვერ ვხედავ მწყობრ სისტემას და საქმის გაკეთების სურვილს.

— ოპონენტები ხელისუფლებას საყვედურობენ, რომ ამნისტიით გამოსული პატიმრების მხრიდან აღირიცხება რეციდივის მაღალი ფაქტები, რაც რიგ შემთხვევაში ასეა. სახელმწიფო ვალდებული არის თუ არა გამოიყენოს ამნისტიის და შეწყალების აქტი?

— რა თქმა უნდა, ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა. რეციდივის ფაქტები მაღალი არაა. თუმცა, ცალკეული გამოვლინებები არის და ყოველთვის იქნება, ასეთი შემთხვევისგან დაზღვეული ვინ არის? თუ არასწორად მოხდა კონკრეტული პიროვნების გათავისუფლება, ეს გამოძიებული უნდა იყოს. რაც შეეხება ამნისტიებს და შეწყალებებს, ეს დიდი სიფრთხილით უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ.

— ბოლო სამი დღეა ქალაქში დაწყებულია ე.წ. რეიდები, როგორ ფიქრობთ, ეს არის იდეალური გამოსავალი იმისათვის, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური ფონი დასტაბილურდეს?

— არ ვიცი, მართლა დაიწყო თუ არა ე.წ. რეიდები, მაგრამ მივმართავ შს მინისტრს და მთავარ პროკურორს, რომ სასწრაფოდ ატეხონ განგაში. ეს არის კანონის უხეში დარღვევა. რას ნიშნავს გააჩერო ახალგაზრდა?! ახალგაზრდას გააჩერებ და ჩხრეკას ჩაუტარებ მხოლოდ ორ შემთხვევაში, თუ მას ჩადენილი აქვს დანაშაული, ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ისე როგორ გასცემ ხმას?!

ვიცი, ახლა მეტყვიან განსაკუთრებით „პრაქტიკაში დაბერებული“ ბიჭები, მაშინ როგორ ვებრძოლოთ დანაშაულსო. როგორ ებრძოლოთ და ოპერატიული წყაროები გქონდეთ, მეტი ირბინეთ, მეტი იმუშავეთ და მეტი იკითხეთ! დავანებოთ თავი ამ უაზრო „რეფორმებს“. ამოუვიდა ხალხს ეს ე.წ. რეფორმები ყელში. ყველას ჰგონია, რომ დიდ საქმეს აკეთებენ და ამ დროს პროცესი წინ არ მიდის. ვის გინდათ მოამზადებინოთ გამომძიებელი თუ ახალგაზრდა ოპერატიული თანამშრომელი, ან პროკურორი? თინეიჯერ პრკურორს, რომელსაც დიდი-დიდი სტაჟი აქვს 2-3 თვის, ან ერთი წლის? ეს რა ბავშვობაა.

ჰარმონიულად უნდა მომხდარიყო თაობათა ცვლა. წინა ხელისუფლებამ ეს ვერ შეასრულა, ახალიც იგივეს აგრძელებს. 40 წელს გადაცილებული ადამიანები მოხსნილი არიან დღის წესრიგიდან. უბედურება ხდება. შსს-ში და პროკურურატურაში ძველი გამომძიებლები არ არიან, პატარა ბავშვები არიან. გამომძიებლობა არავის არ უნდა, ყველას უფროსობა უნდა... მახსოვს, ერთი წლის წინ გითხარით, რომ სახელმწიფოებრივი კრიზისი განვითარდება-თქო, ვიცოდი, რომ კრიმინოგენური ანალიზი აქამდე მიგვიყვანდა. თუ სახელმწიფომ სასწრაფო ზომები არ მიიღო, კიდევ უფრო გართულდება მდგომარეობა. ვიმეორებ, მასობრივი ჩხრეკა ძალიან ცუდად დასრულდება, ეს დაუშვებელია.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

◎ ალიანჩალიანი

დრო, მიკროავტობუსებმა ტარიფებს გადახედონ

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ „თბილისის მიკროავტობუსს“ ტარიფების გადახედვისკენ მოუწოდა. როგორც ნარმანიამ მიკროავტობუსის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა, დედაქალაქში მსყიდველუნარიანობა დაბალია და შესაბამისად ტარიფები მოსახლეობისთვის მისაღები და ადეკვატური უნდა იყოს.

„ჩვენი მოთხოვნაა ამ კომპანიის მიმართ, ისევე როგორც სხვა კომპანიების მიმართ, რომლებსაც ჩვენ მოვუსმინეთ და მომავალშიც მოვუსმენთ, არის უცვლელი, რომ რაც შეიძლება ხარისხიანი სერვისი მიეწოდოს თბილისელებს, შემცირდეს უკმაყოფილების დონე და სადაც შესაძლებელია ტარიფებთან დაკავშირებული საკითხების გადახედვა, მოხდეს მისი გადახედვა. დედაქალაქში მსყიდველუნარიანობა არც ისე მაღალია, ამიტომაც ვთვლით, რომ მოსახლეობისთვის უნდა იყოს ადეკვატური და მისაღები ტარიფები“, — განაცხადა ნარმანიამ.

ამასთან ქალაქის მერმა უკმაყოფილება გამოთქვა მიკროავტობუსებში კონდიციერების სისტემის მუშაობაზეც როგორც ნარმანიამ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ წარმომადგენლებს განუცხადა, როგორც მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, მძღოლების ინდივიდუალურ სურვილზეა დამოკიდებული, ჩართავენ თუ არა კონდიციონერს.

„ნუ დატოვებ ნარჩენებს, იზრუნე გარემოზე“ იწყებს

საძართველოს პრემიერ-მინისტრის დავალების შესაბამისად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ფართომასშტაბიან კამპანიას „ნუ დატოვებ ნარჩენებს, იზრუნე გარემოზე“ იწყებს. როგორც უწყებაში განმარტავენ, კამპანია მთელ საქართველოს მოიცავს.

„სამინისტრომ უკვე დაასრულა მუშაობა კანონპროექტზე „ნარჩენების მართვის შესახებ“ და მიმდინარეობს საჯარო განხილვები ბიზნეს და სამოქალაქო სექტორთან. კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ელგუჯა ხოკრიშვილმა ბრიფინგი გამართა. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადებული კამპანიის ფარგლებში, მინისტრმა საჯარო, ბიზნეს, სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორს მოუწოდა ჩაერთონ ყველა იმ აქტივობაში, რომელიც სამინისტროს მიერ იქნება ინიცირებული და წინასწარ დაანონსდება ოფიციალურ ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით“, — განმარტავენ სამინისტროში.

ინტერპრესი

◎ სათქმელი!

კეკლუცობიდან გადადგომამდე

თეა წულუკიანი ტყვიას ტყვიაში აჯენს. გიორგი მარგველაშვილთან დაკავშირებით ატეხილი ხელოვნური აჟიოტაჟი ყველაზე უკეთ იუსტიციის მინისტრმა შეაფასა:

„ძართველ ხალხს „ძართული ოცნებიდან“ არავინ აურჩევია იმისთვის, ნაციონალურ მოძრაობასთან რომ იკეკლუცოს“.

ამ ფრაზაში ყველა სიტყვა ზუსტია.

განსაკუთრებით კი — ბოლო.

ეს კეკლუცი ისევე ამაზრზენია, როგორც ნაც(იონალ)თა ნიანგის ცრემლები — არიქა, პრეზიდენტის ინსტიტუტს აკნინებენ, მთელს დუნიაზე თავი მოგვეჭრაო.

როცა მათი პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრს თავში მობილურს ურტყამდა (გავიხსენოთ საცოდავი მგალობლიშვილი!) — ამით თავი არ გვეჭრებოდა (?!)...

თქვენ წარმოიდგინეთ, არც იმით, პრემიერ-მინისტრს კეთილმოუწყობელ ბინაში ვითომ გაზით გაგუდულს რომ პოულობდნენ (?!)...

არც იმით, პრეზიდენტი (მათი პრეზიდენტი!) დედაქალაქის მერზე რომ იტყოდა, ის ერთუჯრედიანი მომიყვანეთო (იქნებ უარყონ კიდეც — მე თქვენ გეტყვით და არ იკადრებენ!)...

...მაგრამ ჩვენ ჩვენი მკვდრები და ერთუჯრედიანები ვიტიროთ.

საქართველოს მოსახლეობის უმეტესობამ გიორგი მარგველაშვილი, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის სათრით აირჩია.

ბატონი ბიძინა, ამ შემთხვევაში, აშკარად მოტყუვდა.

სხვათა შორის, წინასაარჩევნო კამპანიისას, როცა ბიძინა ივანიშვილი მართლაც კაროჟნასავით დაატარებდა (შალვა ნათელაშვილს ეს გონებამახვილობა მაინც დავუფასოთ), ძალიან არ მომწონდა ბადრი მთვარესავით სახეგაბრწყინებული მარგველაშვილი „ქართული ოცნების“ ლიდერს „ბატონო“-ს გარეშე, ბიძინად რომ მოიხსენიებდა (ბოლოს და ბოლოს, „ბატონო“-ს ქართული ზრდილობა მოითხოვდა)...

ყველაფრის მიუხედავად, ხმა მივეცით და ავირჩიეთ.

ამით მადლიერება გამოვხატეთ იმ კაცის მიმართ, ვინც ცხრაწლიანი ჯოჯოხეთი დაამთავრა.

ამის შემდეგ რა დავაბრალოთ ბატონ ივანიშვილს?

შეცდომა ვის არ მოსვლია?

შეცდომა ხომ ყველას ეპატიება.

მარგველაშვილი როგორ მოიქცა?

განაცხადა, ავლაბრის რეზიდენციაში არ შეევალო.

შევიდა და ცოცხალი თავით აღარ გამოდის.

სააკაშვილის კონსტიტუციით უფლებაშეკვეცილმა პრეზიდენტმა, თანაც გაჭირვებულ ქვეყანაში, საკუთარ თავს ამ ვეებერთელა სასახლის დაკავების უფლება უნდა მისცეს?

უუფლებოდ და, ფაქტობრივად, უსაქმოდ დარჩენილ პრეზიდენტს ასეთ პირობებში ყველაზე მდიდარი ქვეყანაც ვერ შეინახავს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ფაქტს ვერსად გავექცევით.

თვით ლუარსაბ თათქარიძეც კი ამბობდა, კაცმა დღეს ერთი არ უნდა თქვას და ხვალ კიდევა ორიო.

დიახ, ყველაფერი რომ მივუტევოთ მარგველაშვილს, ამ ფაქტის პატიება გაგვიჭირდება.

ცხადია, ვერც ნაციონალებთან კეკლუცობას ვაპატიებთ.

ამიტომაც, რაკი დაუჟილს გატეხილი სჯობს, დროა, პრეზიდენტს პირდაპირ ვუთხრათ:

ბატონო გიორგი,

ან გამოდით ავლაბრის რეზიდენციიდან და ნაც(იონალ)თა გავლენიდან, ან გადადექით!

დროა, ეს ითქვას!..

იოსებ ჟუმბურიძე

◎ აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

ხაჯიმბა წინასაარჩევნო დაპირებებს ასრულებს

გალელების მიმართ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების პოლიტიკა მნიშვნელოვნად გამწვავდა ადგილობრივი ქართველების მიმართ. მათ უამრავი პრობლემა ექმნებათ, — აცხადებს „ევროპული დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია. მისი გადმოცემით, დღე არ გავა, რომ ვინმე არ გაიტაცონ. გამოსასყიდის ნიხრმაც ანქვაბის პრეზიდენტობის ხანასთან შედარებით მნიშვნელოვნად აიწია და 15-17 ათას დოლარს მიაღწია. პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერი ადგილობრივი ქართველების ინფორმაციაზე დაყრდნობით ამბობს, თავიდან ეკონომიკურად შეძლებულ ოჯახებსა და პიროვნებებს მისდგწენო და აკეთებს დასკვნას, მალე ნაკლებად შეძლებულებსაც მისდგებიანო.

დავითაია იმასაც იძახის, რომ ანქვაბის დროსაც იყო გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, მაგრამ მაშინ არსებობდნენ სპეციალიზებული ჯგუფები, რომლებიც გამტაცებლებს ანეიტრალებდნენ. ხაჯიმბამ ეს ჯგუფი დაშალა, რაც ხელ-ფეხს უხსნის ყველა ჯურის კრიმინალთა თარეშს, ასკვნის „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია.

ქართველების მიმართ მკაცრ პოლიტიკას აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ხაჯიმბასა და პუტინის შეხვედრის შემდეგ მიჰყო ხელი, როცა ახალგაპრეზიდენტებულმა საქართველოსა და ქართველების მიმართ მოქმედებებისათვის სრული კარტბლანში მიიღო როგორც „ქვეყნის“ შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

უღიარებელი „სახელმწიფოს“ პრეზიდენტმა რფ-ს ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრის შემდეგ, საქართველოს, აფხაზეთის

როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარება და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიმართ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისაკენ მოუწოდა.

ხაჯიმბას განცხადებას უმალ გამოეხმაურა საქართველოს თანასწორობისა და შერიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, რომლის განმარტებითაც საქართველომ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება ცალმხრივად არაერთხელ მიიღო და მის ყველა პუნქტს განუხრელად ასრულებს. იქვე სახელმწიფო მინისტრი აკონკრეტებს — ექვსპუნქტიანი შეთანხმების ყველა პუნქტი სრულდება და საქართველო ევროკავშირის მისიას მონიტორინგის საშუალებას აძლევს.

ზაქარეიშვილი ამბობს, რომ საქართველო რუსეთისაგან ელის ძალის გამოუყენებლობის შეთანხმებაზე ორმხრივ ხელმოწერებს, ან ყოველ ამგვარ (ჩვენი ქვეყნის მსგავსად) დოკუმენტზე ცალმხრივი ვალდებულების აღებას, რასაც რფ არ აკეთებს.

აფხაზურ და ოსურ მხარეებთან ამგვარი შეთანხმების გაფორმების საჭიროებას ჩვენი მხარე ვერ ხედავს, რადგან არავითარი საფრთხე არ მომდინარეობს, მათ საკუთარი შეიარაღებული ძალებიც არ ჰყავთ და ყველაფერს რუსეთის საოკუპაციო ჯარები აკონტროლებენ. ამ თემაზე საუბარი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, რაც ძალის გამოუყენებლობის შეთანხმებას რუსეთი მოაწერს ხელს. მანამდე ამ შინაარსის ხელშეკრულებას ოსურ და აფხაზურ მხარეებთან ხელიც რომ მოვაწეროთ, რუსეთმა აგრესიული ქმედებები შეიძლება ნებისმიერ დროს განახორციელოს, აცხადებს სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი. ფაქტია, ასკვნიან ქართველი ექსპერტები, სპეციალისტები, პოლიტოლოგები, რუსეთის პირველ პირებთან შეხვედრის შემდეგ აფხაზეთის ახალმა პრეზიდენტმა წინასაგან განსხვავებით ბევრად უფრო გაამკაცრა ურთიერთობები ქართულ მხარესთან ყველა ასპექტში.

ზაზა ბილიხოძე.

P. S. ხაჯიმბას მთავრობა იქამდეც მივიდა, რომ (ოფიციალური ქართული სკოლები განათლების სამინისტროს საშუალო სკოლების ჩამონათვალშიც აღარ შეჰყავს. მათი მონაცემებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე სულ 163 სკოლაა. აქედან 63 — აფხაზურია, 51 — რუსული, 39 — სომხური, 9 — შერეული, აფხაზურ-რუსული, ხოლო ერთიც — რუსულ-აფხაზური. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მონაცემებით კი არ მითითებულ ქართულ სკოლათა რაოდენობა 30-ია. აქედან 28 საშუალოა, ორს კი (ოტობაიასა და თაგილონში), აფხაზეთის საჯარო სკოლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ყოფილი შსს-ს თანამშრომლის თამაზ ალანიას განმარტებით, რომელიც ადგილობრივი ქართველი მცხოვრებლების ინფორმაციებს ეყრდნობა, ზუგდიდთან, ადმინისტრაციულ საზღვართან, რუსმა და აფხაზურმა ე. წ სამართალდამცავებმა გააჩერეს ტრანსპორტი, რომლებიც აფხაზურ ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვებისათვის სასწავლო ლიტერატურას ეზიდებოდა. ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ავტობუსი უკან გააბრუნეს.

კიდევ უფრო შორს წავიდნენ „სამართალდამცავები“ თაგილონსა და ოტობაიაში. ისინი პირდაპირ შეცვივდნენ სკოლებში და მასწავლებლების, გამგეობის თანდასწრებით ქართული სახელმძღვანელოები გაანადგურეს — გვიყვება ჩვენთან მოსაუბრე და იქვე ამატებს, რომ გალის რაიონის ქვედა ზონის მოსახლეობა პანიკაშია, რადგანაც არ იციან, როდის განმეორდება იგივე მათთან. ალანია ამბობს, რომ მოსახლეობამ მაინც შეძლო წიგნების შეტანა, მაგრამ მოძალადეები კონტროლს ამკაცრებენ, რაც ადგილობრივთა განმარტებით, კიდევ უფრო გაძლიერდება სასწავლო წლის დაწყების შემდეგ. რუსები და აფხაზები მოითხოვენ, რომ სახელმძღვანელოები რუსულად გადაკეთდეს.

ყველაფერს გვიკეთებენ, რომ ქართული სული ჩაკლან, აქაურობა დავტოვოთ, ეუბნებიან თამაზ ალანიას აფხაზეთს შემორჩენილი ქართველები.

ზ. ბ.

◎ საგარეო ვაჭრობა

ცვლილება ლიდერთა სამეულში

მართალია, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან თვეზე ოდნავ მეტი გავიდა და თავისუფალი ვაჭრობის სიკეთე არც ეროვნულ ეკონომიკას და არც მოსახლეობას, არსებითად, არ უგრძნია, მაგრამ გარკვეული პოზიტიური ძვრები ამ მიმართულებით, სტატისტიკის დონეზე მაინც, ერთობ საგულისხმოა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, წლეულს იანვარ-ივლისში საქართველოს ევროკავშირის ქვეყნებთან საგაჭრო ბრუნვამ 1,68 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა, რაც 2013 წლის ამავე პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს 13 პროცენტით აღემატება. ეს მაჩვენებელი, ცხადია, თავისთავად ცუდი როდია, მაგრამ საქმე ისაა, რომ, ისევე როგორც წინა წლებში, საქონლის იმპორტი დაახლოებით ოთხჯერ აღემატება ექსპორტს. კერძოდ, 2014 წლის შვიდ თვეში საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ 339 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 32 პროცენტით აღემატება. ამავე პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებიდან ექსპორტირებული საქონლის ღირებულებამ 344 მილიონი, ანუ 9 პროცენტით მეტი შეადგინა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს წლევანდელ საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მთლიან მოცულობაში ევროკავშირის ქვეყნების წილი 26 პროცენტია, აქედან ექსპორტის მხრივ ეს მაჩვენებელი 20 პროცენტია, იმპორტის მხრივ — 28 პროცენტი.

რაც შეეხება წლევანდელ იანვარ-ივლისში საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მთლიან მოცულობას, მან 6 მილიარდ 480 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14 პროცენტით მეტია. მათ შორის, ექსპორტის წილად მილიარდ 665 მილიონ დოლარია, იმპორტის წილად — 4 მილიარდ 815 მილიონი დოლარი. ამრიგად, **აღნიშნულ პერიოდში საქართველოს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი 3 მილიარდ 150 მილიარდი დოლარის ტოლია.**

ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში ბოლოდროინდელი მეტად საგულისხმო ცვლილება ის არის, რომ საქართველოს უდიდეს სავაჭრო პარტნიორთა სამეულში მსოფლიოში ისეთი უმძლავრესი ეკონომიკის მქონე ქვეყანა შემოვიდა, როგორიცაა **ჩინეთი,** რომელიც ამ მაჩვენებლით მხოლოდ **თურქეთსა** და **აზერბაიჯანს** ჩამოუვარდება. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამ ქვეყანაში გატანილი სასაქონლო ჯგუფებიდან ძირითადად **სპილენძის მადანი** და **ღვინო** გვაქვს.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ 2014 წელს საქართველოში უდიდესი სავაჭრო ქვეყნების ათეულში ამ სამეულის გარდა, ათეულში ასევე არიან **რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, ბულგარეთი და იაპონია.**

ცალკე აღსანიშნავია საქართველოს ტრადიციულ სავაჭრო პარტნიორ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მაჩვენებლის შარშანდელ ანალოგიურ დონესთან 7-პროცენტიანი ზრდა, რამაც 2 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა. ამ მხრივ თანაფარდობა ექსპორტ-იმპორტს შორის გაცილებით უკეთესია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებთან, რაც შესაბამისად, 884 მილიონი დოლარსა და დაახლოებით 1,4 მილიარდი დოლარს შეადგენს. დსთ-ს ქვეყნების წილად საქართველოს საგარეო ვაჭრობა მთლიანი ბრუნვის 31 პროცენტია.

საინტერესოა ასევე საქართველოს სასაქონლო ექსპორტის წამყვან მიმართულებათა ჩამონათვალი. ამ შემთხვევაში ერთობ საგულისხმოა ის გარემოება, რომ **მთელ რიგ ქვეყანაში, კერძოდ, სომხეთში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში მსუბუქი ავტომანქანების რეექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, მას ამ ნუსხაში 20-პროცენტიანი წილით კვლავ პირველობა ეკუთვნის.** მეორე პოზიციაზე ისევე, როგორც წინა წლებში, **ფეროშენადნობთა** 11-პროცენტიანი წილის მქონე **სასაქონლო ჯგუფია, ლიდერთა სამეულის** ჩამკეტი კი 10 პროცენტით სპილენძის მადანსა და კონცენტრატებს უკავია. ამასთან დაკავშირებით მცირედი კომენტარის სახით გვინდა, კიდევ აღვნიშნოთ ჩვენი ეროვნული ეკონომიკისთვის მეტად არასაამაყო გარემოება: ის პროდუქცია, რომელიც სხვაზე მეტად ქვეყნიდან საზღვარგარეთ გაგვაქვს, ან საქართველოში არ არის წარმოებული, ანდა, არსებითად, მხოლოდ ჩვენი წიაღისეული სიმდიდრის მადლია. მეტად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ბოლო დროს საექსპორტო სასაქონლო რეიტინგში მკვეთრად გაიზარდა **ღვინისა და მინერალური წყლის** წილი.

რაც შეეხება იმპორტს, აქ ყველაზე დიდი სასაქონლო ჯგუფი უპირობოდ **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** იყო, რაც არც არის გასაკვირი და ეს ტენდენცია უაღრესად მდგრადი ხასიათისაა. მეორე პოზიციაზე **მსუბუქი ავტომანქანებია** და არც ეს გახლავთ რაიმე ახალი ამბავი, მესამე ადგილზე კი **ბუნებრივი გაზია.**

თუკი საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბოლოდროინდელ მთლიან სურათს თვალს გადაავლებთ, მასში, არსებითად, ყველაზე დიდი სიახლე ისაა, რომ ჩვენი სავაჭრო პარტნიორების წამყვან სამეულში უკრაინა ჩინეთმა ჩაანაცვლა. უკრაინაში მიმდინარე უმწვავესი სამხედრო და სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე არც ეს ფაქტია გასაკვირი, ისევე, როგორც მისი ჩინეთით ჩანაცვლება, რომელთანაც სავაჭრო ურთიერთობა თვიდან თვემდე სულ უფრო მეტად ინტენსიური ხდება.

ოთარ ტურაბელიძე

უკვდავება დიდი მეცნიერისა და მამულიშვილისა

ასი წელი შეუსრულდებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართველ აგრარიკოს მეცნიერთა სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო და ღირსეულ წარმომადგენელს, პროფესორ მამია გოგოლიშვილს, რომელმაც მეტად შინაარსიანი და საინტერესო ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა განვლო. იგი დაიბადა 1914 წლის 16 სექტემბერს ქობულეთის მაზრის სოფელ ბობოყვათში.

1924 წელს დაამთავრა ბობოყვათის დაწყებითი სკოლა და სწავლა განაგრძო ბათუმის ახლად შექმნილ პედაგოგიურ სასწავლებელში. 1929 წელს ღარიბების, მოჯამაგირეებისა და ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისთვის ყვარელში სატყეო სასწავლებელი გაიხსნა, სადაც მსურველებს უგამოცდოდ იღებდნენ. მამია გოგოლიშვილმა სწორედ ყვარელში მიიღო საშუალო-ტექნიკური განათლება მეტყევის სპეციალობით, 1933 წელს კი სწავლა განაგრძო საქართველოს სატყეო ინსტიტუტში. ერთი წლის შემდეგ საკავშირო სუბტროპიკული ინსტიტუტი ოზურგეთიდან თბილისში გადავიდა და მამია გოგოლიშვილი, როგორც სუბტროპიკული რაიონის წარმომადგენელი, ამ ინსტიტუტში აგრძელებს სწავლას.

ინსტიტუტში სწავლის პირველივე წლებიდან ინტერესით ეგებება ახალგაზრდულ საზოგადოებრივ საქმიანობაში. იმ დროისთვის აჭარიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდა კაცისთვის დამახასიათებელ უჩვეულო გამბედაობასა და ენერგიას იჩენს. მეხუთე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც ის აჭარის საბჭოთა მეურნეობის ტრესტის მმართველად დანიშნეს. ნახევარი წელიც არ იყო გასული და 23 წლისა ავტონომიური რესპუბლიკის მიწათმოქმედების კომისარი ხდება. ომის უმძიმეს წლებში მუშაობა დიდ ძალასა და ენერგიას მოითხოვდა, ამიტომაც ახალგაზრდა სპეციალისტისთვის ეს წლები ორგანიზატორული ნიჭის წარმოჩენასთან ერთად პროფესიული უნარ-ჩვევების გამომჟღავნების პერიოდიც იყო.

მამია გოგოლიშვილის მიღწევები შეუმჩნეველი არ დარჩენილა, ოთხ ათეულ წელს მიღწეული სპეციალისტი უკვე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, სუბტროპიკოსი მოსკოვში გამოიძახეს თათბირზე, სადაც სოფლის მეურნეობის აღდგენითი სამუშაოების პერსპექტივებზე იყო საუბარი, ამასთან, ძირითადი ყურადღება დაეთმო ახალი ჯიშების მოვლა-მოყვანისა და პლანტაციების ფართობის გაზრდის პრობლემებს. სჯა-ბაასი გაიმართა იოსებ სტალინთნ, მეცნიერ-სუბტროპიკოსს ისეთი შთაბეჭდილება დაუტოვებია, რომ მისი რეკომენდაციით ის 1947 წელს აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს.

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე სახალხო მეურნეობის დარგების აღორძინებას

აკადემიკოსი მამია გოგოლიშვილი – 100

იწყებს და თავის აქტიურ საქმიანობას სოფლის მეურნეობის განვითარებას ახმარს. ეს პერიოდი ძალზე ძნელი იყო აჭარისთვის, მართალია, დიდი სამამულო ომი ორი წლის დამთავრებული იყო, მაგრამ ყველაფერი ახალ საწყისებზე უნდა გადასულიყო. განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის აღორძინების გარდა, ახალგაზრდა თავმჯდომარეს მხარის კულტურული დაწინაურება, ქართული ტრადიციების აღდგენაც აინტერესებდა, გარედან ძალით თავს მოხვეული უცხო წესჩვეულება და, საერთოდ, ბევრი უცხო ტოპონიმი იყო შესაცვლელი, ვის ვის და ამისთვის მხოლოდ მთავრობას უნდა ეზრუნა. მალე აღდგა ქართული გვარები, სახელები და სახელწოდებები, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა. საქართველოს მაშინდელმა კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატე ცინცაძემ მამია გოგოლიშვილი სასახელო მამულიშვილად შერაცხა.

აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს ბატონი მამიას მიერ განხორციელებული ღონისძიებანი ბათუმის კათოლიკური ეკლესიის, სხვა უნიკალური არქიტექტურული ძეგლების გადარჩენის, ბათუმის ზღვისპირა პარკში საზაფხულო თეატრის უმშვენიერესი შენობის აგების სამუშაოები. ასე თავდადებულ გარჯაში გაიარა აჭარის მთავრობის ხელმძღვანელად მუშაობის რვა ნაყოფიერმა წელიწადმა.

1953 წლიდან მეცნიერების კანდიდატი მამია გოგოლიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღს ჩაუდგა სათავეში. აქაც მისთვის ჩვეული უნარითა და ენერგიით აგრძელებს სამეცნიერო მუშობას მცენარეთა ინტროდუქციისა და ციტრუსოვანთ კულტურების აგროტექნიკაში. ზრუნავს ბოტანიკური ბაღის კოლექციის გამდიდრების, სამეცნიერო კვლევა-ძიების პრობლემატიკის გაფართოებისთვის. მეცნიერული შრომის ორგანიზაციის ნიჭით მომადლებული პროფესორი, ცენტრალური ბოტანიკური ბაღის კოლექტივის შემოქმედებით ხელმძღვანელობასთან ერთად, ამიერკავკასიის რეგიონალურ ორგანიზაციას აყალიბებს.

მისი უშუალო ინიციატივითა და შრომით იქმნება ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების საბჭო, რომლის უცვლელი ხელმძღვანელიც წლების მანძილზე იყო. ამ საბჭოს ინტერესებიდან გამომდინარე, პროფესორ მამია გოგოლიშვილის წინადადებით და მისივე ინიციატივით იგეგმება ერთობლივი ექსპედიციები ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, ციმბირში, კავკასიასა და შუა აზიაში მცენარეთა ინტროდუქციისთვის. ეწყობა ყოველწლიური სამეცნიერო გამომსვლელი სესიები, როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკების დედაქალაქების ბაქოს, ერევნის, თბილისის, ისე სხვა ბოტანიკურ ბაღებში. მამია გოგოლიშვილი 1961 წელს იცავს სადოქტორო დისერტაციას, ხოლო 1963 წელს მას ანიჭებენ პროფესორის წოდებას.

იგი დიდ მზრუნველობას იჩენდა მეცნიერთა ახალგაზრდა კადრების აღზრდისადმი. წლების მანძილზე იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე და ხელმძღვანელობდა სადოქტორო დისერტაციების დაცვას. მის მიერ მომზადებულია 20-ზე მეტი მეცნიერების კანდიდატი და დოქტორი. საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარება-ორგანიზაციისთვის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა აღზრდისა და ბიოლოგიური მეცნიერების პოპულარიზაციის საქმეში გაწეული თვდადებული მოღვაწეობისთვის 1979 წელს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

მეცნიერ-ორგანიზატორი თავის კვლევა-ძიებათა შედეგებს სისტემატურად აქვეყნებდა და უკვე ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთაგან ცხრა მონოგრაფიაა. მის ლაბორატორიაში მეცნიერული კვლევის შედეგად დაგროვილი ინფორმაცია დღესაც ყალიბდება რეკომენდაციებად, მეცნიერულ განზოგადებად. მის ნაშრომებს კითხულობდნენ და მოხსენებებს ისმენდნენ რუსეთში, იტალიაში, ინგლისში, ინდოეთში, ნეპალში, იაპონიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, უნგრეთსა და გერმანიაში. ყოველივე ამას ხელს უწყობს მისი ბევრი საერთაშორისო თუ რესპუბლიკური საბჭოს აქტიური წევრობაც. იგი 34 წელი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო სამი ათეული წელი, ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს წევრი.

მამია გოგოლიშვილი ბევრჯერ იყო არჩეული საკავშირო უმაღლესი საბჭოს, აჭარის უმაღლესი საბჭოს და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. მათგან ყველაზე უფრო ბათუმის საპატიო მოქალაქედ არჩევას გაუხარებია სიმწიფის ასაკში შესული აკადემიკოსი. ბათუმი ჩემი ქალაქია, ხშირად უთქვამს მას. მეხუთე ათეული წელია, რაც თბილისში ვსახლობ, მაგრამ ბათუმელი ვარ, ჩემი ახალგაზრდობის ყველაზე ენერგიული წლები აქ გამიტარებია. ამ ძნელბედობის ჟამს მინდა, როგორმე გამოვადგე ჩემს კუთხეს, ეს ფიქრები მაწუხებს, ხშირად იტყოდა ბატონი მამია.

აუსრულდა დიდი ხნის სურვილი ღვაწლმოსილ მეცნიერს, მისი უშუალო ინიციატივითა და ძალისხმევით 1990 წელს დაარსდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის საკოორდინაციო ცენტრი, რომლის თავმჯდომარედ მუშაობდა წლების განმავლობაში, ხოლო 1994 წელს გახსნილ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აკადემიკოსი მამია გოგოლიშვილი არჩეული იქნა სუბტროპიკული კულტურების კათედრის გამგედ და კითხულობდა ლექციების კურსს სუბტროპიკულ მემცენარეობაში ათი წლის განმავლობაში.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებისთვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისთვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზატორული საქმიანობისთვის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 25 ივნისის განკარგულებით მამია გოგოლიშვილი დაჯილდოვა ღირსების ორდენით და ამავე წელს შეყვანილ იქნა მე-20 საუკუნის გამოჩენილ პიროვნებათა სიაში.

მეტად საინტერესო და საგულისხმოა აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის მიერ განვლილი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის გზა. ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო ქვეყანასა და საზოგადოებას, ამიტომ მისი, როგორც თვალსაჩინო მეცნიერისა და სასიქადულო მამულიშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება მომავალი თაობების ხსოვნაში.

გურამ ალექსიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

ალიოშა გაკურიძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი;

რეზო ჯაბნიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

◎ კაკალ გულში

წერილოვანი თხზები

● პრეზიდენტს არ უშვებენ და აბა მე ვინ გამიშვებს ამერიკაში?

● საპარლამენტო უმრავლესობა, თურმე, პარლამენტის თბილისის შენობაშია გამაგრებული, უმცირესობა კი — ქუთაისისაში.

გადამწყვეტი შერკინება ალბათ წიფის „ტუნელში“ გაიმართება.

● ხელისუფლებავ, კლიმატს და ამინდს მაინც დაანებეთ თავი და რაც დაგვრჩა შეგვარგეთ!

● სერიოზული შავი პიარი მიდის მარგველაშვილის წინააღმდეგ.ნაცების დაბრუნების დიდი საშიშროებაა. დროა გამოფხიზლდეთ!

● 15 სექტემბერს სწავლა იწყება. ოჯახებს, რომლებსაც სასკოლო ასაკის ბავშვები ჰყავთ, აღარ უდგათ წიგნების შეძენის პრობლემა, რომელიც საშუალოდ 150-200 ლარი ჯდებოდა ბავშვზე. ვიღაცისთვის ეს თანხა არაფერია, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის საკმაოდ დიდია .....20-ლარიან ვაუჩერს 3 თვე გვიტრიალებდა „რუსთავი-2“, თუ რამდენი რამე შეიძლება კაცმა გააკეთოს 20 ლარად, ერთმა ისიც თქვა, ბიზნესის დაწყებას ვაპირებო. თქვე კაი ხალხო, 10-ჯერ მეტი სიკეთე გაკეთდა, ვიდრე 20-ლარიანი ვაუჩერი იყო და საზოგადოებრივ არხზე პაწია სიუჟეტი მაინც მიუძღვენით.

● მართლა პარადოქსული სიტუაციაა.

სახელისუფლებო გუნდში პოლიტიკური კრიზისია და მიუხედავად ამისა მაინც ნაციონალური მოძრაობის გაფარჩაკება იკვეთება. ფაქტია, რომ ნებისმიერი ოპოზიციური და თავმოყვარე პარტია ესეთი კრიზისის დროს ახალ საპარლამენტო არჩევნებს მოითხოვდა, იმის იმედად, რომ უფრო წარმოსადეგად წარმოჩენილიყვნენ პარლამენტში (როგორც ეს უკვე გააკეთა სახალხო კრებამ). რას შვებიან ამ დროს ნაციონალები? რაღაც აბსურდულ და არაადეკვატურ ხმებს გამოსცემენ ისეთი კომიკური ფიგურების საშუალებით., როგორიცაა კობა ხაბაზი და ნუგზარ წიკლაური. ბოდავენ ყველა სისულელეს, ოღონდ სიტყვა არჩევნები არც ახსენდებათ. მიზეზი? მიზეზი მარტივი ასახსნელია.... ახალი საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში, მათი საპარლამენტო წარმომადგენლობა მინიმუმ განახევრდება, ხოლო იმ სიების შედგენას, რომელიც უკვე ამ არაერთიან გუნდს მოუწევს, საბოლოოდ მათი მარტივ მამრავლებად დაყოფა მოყვება, რაც ბუნებრივია, 5% ბარიერის გადალახვაც კი პრობლემური გახდება მათთვის. ამდენი კი ესმით საბრალოებს, რასაც ნამდვილად ვერ დაუკარგავ.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ისტორიის პარადოქსები

ფრანგული დაუდევრობა

ვიქტორ ჰიუგო წერდა: „არიან ძვეყანაზე უბედური, ადამიანები. ქრისტეფორ კოლუმბმა ვერ შეძლო, მიენიჭებინა თავისი სახელი მის მიერ აღმოჩენილი მატერიკისათვის. გილიოტენმა ვერ შეძლო, გამოეთიშა თავისი თავი მის მიერ გამოგონებული მანქანისგან“.

მართლაც, ადამიანი სახელად ჟოზეფ-იგნას გილიოტენი, უბედური იყო, თუმცა, სულ სხვა მიზეზის გამო. სინამდვილეში პროფესიით ექიმს და საფრანგეთის ეროვნული კრების სავსებით მშვიდობიან დეპუტატს არ გამოუგონებია გილიოტინა, და სრულიად უსამართლოდ მიაჩნიათ იგი სიკვდილით დასჯის ამ საშინელი იარაღის შემქმნელად. და კიდევ სრულიად შეცდომით გილიოტინა უკვე ორ საუკუნეზე მეტია ატარებს მის სახელს.

ჟოზეფ-იგნას გილიოტენი დაიბადა 1738 წლის 28 მაისს სენტში, ზღვისპირა შარანტში რომაა, ის ადვოკატ ჟოზეფ-ალექსანდრ გილიოტენის და მისი ცოლის კატრინ-აგატა მარტენის შვილი იყო, ამ ოჯახს 13 შვილი ჰყავდა, ჟოზეფ-იგნასი მათ შორის მეცხრე იყო. თავდაპირველად ჟოზეფ-იგნასი სწავლობდა გეოლოგიას ბორდოში, 1763 წელს მან მედიცინას მიმართა, ჯერ ის მას სწავლობდა რეიმსში, 1768 წელს კი პარიზის უნივერსიტეტი დაამთავრა. გახდა სპეციალისტი ანატომიასა და ფიზიოლოგიაში, ის მუშაობდა სამედიცინო ფაკულტეტზე და იმავდროულად მისდევდა კერძო პრაქტიკას. დიდი პოპულარობით სარგებლობდა დედაქალაქში, ბევრი ავადმყოფი განკურნა.

დადგა 1789 წელი და დოქტორი გილიოტენი, როგორც მესამე წოდების წარმომადგენელი, აირჩიეს გენერალურ შტაბში, რომელიც მალე დამფუძნებელ კრებად გადაიქცა. 14 ივლისის ღირსსახსოვარ დღეს ის გახდა მოწმე ბასტილიის აღებისა, რომელიც მაშინ ბევრისთვის „მონარქიის სისხლიანი დესპოტიზმის“ განსახიერებას წარმოადგენდა. შემდეგ კი, მის თვითდაშლამდე, 1791 წლის 30 სექტემბრამდე, ის იყო საკონსტიტუციო ასამბლეის წევრი, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციის შექმნაზე მუშაობდა, ის იყო არისტოკრატებისა და მათი ოჯახების საშინელი ქუჩური ანგარიშსწორების, რევოლუციური სასწრაფო ტრიბუნალების მიერ სასჯელმისჯილთა სასწაულებრივი წამების მოწმე.

ბედის ირონიით, გილიოტენი საერთოდ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო. მაშინ სიკვდილით დასჯის საშინელ მეთოდებს მიმართავდნენ. მაგალითად, კოცონზე დაწვას, ჩამოხრჩობას, ხელ-ფეხისა და თავის მოკვეთას... ტიპური მაგალითი — რობერტ-ფრანსუა დამიენის სიკვდილით დასჯა, რომელიც 1757 წელს მეფე ლუი XV-ს დაესხა თავს. იმის უბრალო ჩამოთვლაც კი, რაც მას გაუკეთეს, სუსტი ნერვების პატრონებისთვის ძნელი მოსასმენია. დამიენს მაშებით ამოგლიჯეს ხორცი ხელებიდან, ბარძაყებიდან და ნაკუთალებიდან, ჭრილობებზე ასხამდნენ გამდნარ ტყვიას, მდუღარე ზეთს და ფისს, იმას კი, რაც რჩებოდა, აქუცმაცებდნენ. შემდეგ წვავდნენ და ქარს ატანდნენ. სიკდვილით დასჯა ოთხ საათზე მეტხანს გრძელდებოდა.

არისტოკრატებს სიკვდილით სჯიდნენ უფრო „ჰუმანური“ ხერხით: მათ ხმლით ან ნაჯახით აჭრიდნენ თავებს. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც „გაწაფული ოსტატები“ აკეთებდნენ ათ და მეტ დარტყმას, სანამ თავს მოაჭრიდნენ. სიკვდილით დასჯის თავისებური რეკორდი იყო, როდესაც ვაიჯალათმა მსხვერპლს თავი მხოლოდ 26-ე მცდელობის შემდეგ მოაჭრა...

როგორც ვხედავთ, სიკდილით დასჯის ჰაერში მოფარფატე ჰუმანიტარული იდეა მეტად დროული იყო. და აი, 1789 წლის 10 ოქტომბერს დამფუძნებელი კრების სხდომაზე გილიოტენმა, რომელიც არ შეიძლებოდა გულგრილი ყოფილიყო ადამიანური ტანჯვების მიმართ, რასაც ყოველდღე ხედავდა თავისი პროფესიის „წყალობით“, შეიტანა წინადადება სიკვდილმისჯილთა უფლებების გათანაბრების შესახებ. მან თქვა, რომ თუკი სიკვდილით დასჯა ჯერჯერობით შენარჩუნებულია (როგორც დროებითი ზომა), იგი უნდა გავხადოთ არც ისე მწამებლური. პლუს ამას, უნდა გავათანაბროთ ადამიანები არა მხოლოდ სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის წინაშეც.

დოქტორი გილიოტენი სულაც არ ყოფილა სისხლისმსმელი. უფრო პირიქით, ის შევიდა ჰუმანური წინადადებით „სიკვდილით დასჯა ახალ სახელმწიფოში, — განაცხადა მან, — ასევე დემოკრატიული უნდა იყოს“. ანდა კიდევ მისი სიტყვები: „კანონი, იმისდა მიუხედავად, სჯის თუ იცავს, უნდა იყოს ერთი ყველა მოქალაქისთვის, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე“. ესე იგი დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის წესი არ უნდა იყოს დამოკიდებული მათს სოციალურ მდგომარეობაზე.

იმ ღირსსახსოვარ სხდომაზე გილიოტენმა თქვა: „მე გთავაზობთ, არა მხოლოდ იმას, რომ მოვახდინოთ სიკვდილის დასჯის უნიფიცირება. სიკვდილით დასჯის ისეთ პრივილეგირებულ ხერხსაც კი, როგორიცაა თავის მოჭრა ხმლით, აქვს თავისი ნაკლოვანებანი. საქმის დასრულება ხმლის დახმარებით შეიძლება მხოლოდ სამი მნიშვნელოვანი პირობის დაცვით: ესენია ინსტრუმენტის გამართულობა, შემსრულებლის მოხერხებულობა და სიკვდიმისჯილის აბსოლუტური სიმშვიდე. ხმალი უნდა აილესოს ყოველი დარტყმის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიზნის სწრაფი მიღწევა საჯაროდ სიკვდილით დასჯის დროს გახდება პრობლემური. მაგრამ დრო მის ასალესად, როგორც წესი, არაა, და თანაც სიკვდილმისჯილები, რომლებიც იძულებული არიან, თვალ ყური ადევნონ თავიანთ წინამორბედებს, ხშირად კარგავენ სულის სიმშვიდეს...

ამ დროს, როგორც გილიოტენი დაჟინებით მოითხოვდა, სიკვდილით დასჯა, თუკი იგი ასეთი აუცილებელია, უნდა იყოს ელვისებური და აბსოლუტურად უმტკივნეულო. პლუს ამას, განაჩენგამოტანილის დანაშაულები არ უნდა შეეხებოდეს მის ოჯახს, და თავის მოკვეთას თან არ უნდა ახლდეს მხეცური წამება, დაბორბვლა, კოცონზე დაწვა და ხელ-ფეხის მოკვეთა. მას სურდა, დახმარებოდა ადამიანებს სიკვდილით დასჯის დროს, უნდოდა, რომ მათი სიკვდილი რაც შეიძლება მსუბუქი ყოფილიყო. და უნდა ვაღიაროთ, რომ მის იდეას გაგებით შეხვდნენ დეპუტატები. გადაწყდა, თავის მოკვეთისათვის გამოეყენებინათ მექანიზმი, რომელიც მოჭრიდა თავს „თვალის ერთ დახამხამებაში, სიკვდილმისჯილს თუნდაც მცირედი წამების გარეშე“. მაგრამ თავად მანქანა ამ მიზნისათვის დოქტორ გილიოტენს არ გამოუგონებია. იგი სხვებმა გამოიგონეს.

კეთილი დოქტორი გილიოტენი...



თავის მოსაკვეთი მანქანები ევროპაში გამოგონებული იყო დოქტორ გილიოტენის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე და მათ იყენებდნენ მრავალი ასეული წლის განმავლობაში. მაგალითად, იტალიაში ასეთ მანქანას mannai-ს უწოდებდნენ და იყენებდნენ XIII საუკუნიდან. ოდნავ მოგვიანებით ასეთი მოწყობილობა პოეტური სახელწოდებით „შოტლანდიელი ქალწული“ გაჩნდა შოტლანდიაში. სიკვდილით დასჯის ამ იარაღს დანასთან მიბმული ჰქონდა ტყვიის ტვირთი 75 გირვაქის წონით (ეს დაახლოებით 33 კილოგრამია). იგი პირველად შოტლანდიაში ინგლისის ჩრდილოეთის ქალაქ ჰალიფაქსიდან ჯეიმს დუგლასმა ჩამოიტანა, რომელიც მორტონის მეოთხე გრაფი, არასრულწლოვან მეფე იაკობ VI-ის პერიოდში ქვეყნის რეგენტი იყო. სხვათა შორის, 1581 წლის 2 ივნისს თავად ის დასაჯეს სიკვდილით „შოტლანდიურ ქალწულზე“.

როგორც ითქვა, ექიმ გილიოტენის იდეას გაგებით შეხვდნენ დეპუტატები და 1791 წლის 6 ოქტომბერს მიიღეს კანონი, რომელიც კრძალავდა წამებას გამოძიების დროს და ადგენდა, რომ „ნებისმიერ სიკვდილმისჯილს მოეკვეთოს თავი“.

„სიკვდილის მანქანის“ დამუშავება, რომელსაც ამ ამოცანის რეალიზება შეეძლო, დაავალეს ექიმ ანტუან ლუის, რომელიც ცნობილი იყო თავისი სამეცნიერო შრომებით ქირურგიაში. ვარაუდობდნენ, რომ, თუ მას შეუძლია გაჭრას კაცი მისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, შეუძლია გამოიგონოს რაიმე ისეთიც, რომელიც მას სიცოცხლეს მოუსწრაფებს.

მან ყურადღებით შეისწავლა ნიმუშები ძველი გრავიურების მიხედვით. ზოგიერთი რამ ჩაინიშნა კიდეც. ხოლო თავისი მანქანის პრაქტიკული განხორციელებისთვის ანტუან ლუიმ მიმართა გერმანელ მექანიკოსსა და კლავესინების გამომგონებელსა და დამამზადებელს ტობიას შმიდტს. მას რჩევებით ეხმარებოდა პროფესიონალი — ცნობილი პარიზელი ჯალათი შარლ-ანრი სანსონი.

ანტუან ლუის ნახაზებზე მუშაობისას, ტობიას შმიდტმა შეცვალა მანქანის დანის ფორმა, ფირფიტოვანი ხმალი შეცვალა ნაჯახით, რომელიც 45 გრადუსით იყო დახრილი (დანის პირის ასეთი დახრილობა საშუალებას იძლეოდა, ადვილად მოეცილებინათ თავი ტანისაგან).

კანონს თავის მოსაკვეთი მანქანის გამოყენების შესახებ მეფე ლუი XVI-მ (მაშინ ჯერ კიდევ მეფემ) ხელი 1792 წლის 25 მარტს მოაწერა. დაკვეთა მანქანის მშენებლობაზე მიიღო გრაფმა პიერ-ლუი რიოდერერმა, რომელსაც 1791 წლის ნოემბრიდან ეკავა გენერალური პროკურორის თანამდებობა სენის დეპარტამენტში.

მანქანის პროტოტიპი ჯერ ცხვრებზე გამოსცადეს, შემდეგ კი, 1792 წლის 17 აპრილს — ადამიანის სამ ცხედარზე ბისეტრის საავადმყოფოს ეზოში.

მანქანის საერთო წონა, დღეს რომ გილიოტინის სახელითაა ცნობილი, 580 კილოგრამს შეადგენდა. დანის პირი დაახლოებით 40 კილოგრამი იყო. მანქანის დგარის სიმაღლე — 2,25 მეტრი. სალესის დაცემის ბოლო სიჩქარე შეადგენდა 6,5 მეტრს წამში, თავის მოკვეთის რეალური დრო კი წამის ერთ მეასედს არ აჭარბებდა, რაც ანტუან ლუის განსაკუთრებულ სიამაყეს წარმოადგენდა: მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ახლა მსხვერპლი აღარ დაიტანჯებოდა.

ტობიას შმიდტმა თავის გამოგონებაზე პატენტი 1792 წლის 24 ივლისს მიიღო, ხოლო შექმნილი მოდელების ოდენობა 1793 წლის 13 ივნისის დეკრეტით დაფიქსირდა: ერთი სტაციონარული მანქანა დეპარტამენტზე. პარიზში ის რამდენიმე იყო და, ისინი იდგნენ გრევის მოედანზე, კარუსელის მოედანზე, მარსის ველზე, რევოლუციის მოედანზე (ამჟამად ეს თანხმობის მოედანია) და სანტა-ანტუანის მოედანზე (ამჟამად ბასტილიის მოედანი).

პირველი დამნაშავე, რომელიც სიკვდილით დასაჯეს ჯერ კიდევ საკმაოდ არასრულყოფილი იარაღით, იყო ვინმე ნიკოლა-ჟაკ პელეტიე, რომელმაც ქუჩაში გამვლელი წინასწარ ჯოხით გააბრუა და გაძარცვა. ეს 1892 წლის 27 აპრილს მოხდა გრევის მოედანზე ცნობისმოყვარეთა უზარმაზარი ბრბოს თანდასწრებით.

პარიზელები თავდაპირველად აღფრთოვანებული შეხვდნენ „ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით“, სიკვდილით დასჯას მანქანას „ლუიზონი“ უწოდეს — დოქტორ ანტუან ლუის პატივსაცემად. შემდეგ მას „ლუიზეტას“ უწოდებდნენ, „მირაბელსაც“ კი — ეროვნული კრების თავმჯდომარის გრაფ დე მირაბოს პატივსაცემად, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს ამ პროექტს. პრაქტიკაში იყო სხვ სახელწოდებებიც: „ეროვნული სამართებელი“, „პატრიოტული დამმოკლებელი“, „ქვრივი“ და ასე შემდეგ. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მას დაუმკვიდრდა სახელწოდება „გილიოტინა“, თუმცა დოქტორ გილიოტენს მის შემქმნელებთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. რატომ მოხდა ასე? საქმე ისაა, რომ მკვლელობის ამ იარაღის შექმნის „ტექნიკურ დავალებაში“, რომელიც ანტუან ლუიზე გასცეს, საუბარი იყო იმაზე, რომ მანქანა უნდა იყოს „გილიოტენის სულისკვეთების“. ესე იგი იგულისხმებოდა, რომ მან უნდა გადაწყვიტოს ამოცანები, რის შესახებაც დოქტორი გილიოტენი საუბრობდა. ასე გახდა მანქანა გილიოტინა, თუმცა, თავად ჟოზეფ-იგნას გილიოტენი ყოველთვის ამისი კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

რევოლუცია საფრანგეთში კვლავ მძვინვარებდა. 1792 წლის 10 აგვისტოს ხალხმა აიღო მეფის სასახლე, და ლუი XVI ტახტიდან გადააყენეს. შედეგად საფრანგეთი მონარქიდან რესპუბლიკად გადაიქცა. თავისუფლება გამაბრუებელი აღმოჩნდა. ჟორჟ დანტონმა, რომელიც იუსტიციის მინისტრი გახდა, იზრუნა იმისთვის, რომ ციხეები გადავსებულიყო „მტრული ფენების“ წარმომადგენლებით. ქუჩებში ულმობელი კაცთაკვლა მძვინვარებდა...

გილიოტინა ამ სისხლიანი დრამის მთავარი მოქმედი იარაღი გახდა. იგი განთიადიდან მზის ჩასვლამდე მუშაობდა, როგორც ნამდვილი კონვეიერი. და არავის გაუგონია საწინააღმდეგო ხმა, რომ სიკვდილით დასჯა მომხდარიყო საიდუმლოდ, არასაჯაროდ... ეს ხმა იქცა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

1792 წლის 21 აგვისტოდან (იმ დღეს სიკვდილით პირველი პოლიტპატიმარი ლუი კოლენო დ' ანგრემონი დასაჯეს) 1794 წლის 28 ივლისამდე (გადატრიალების თარიღი, რომელმაც იაკობინელთა ტერორს დაუსვა წერტილი) მხოლოდ გილიოტინით 19 ათასი თავი მოკვეთეს,პროვინციებში კი — 40 ათასზე მეტი.

მთელ ქვეყანაში დაახლოებით ორმოცდაათამდე გილიოტინა მუშაობდა. 1794 წლის 21 იანვარს რევოლუციის მოედანზე გაიმართა ლუი XVI სიკვდილით დასჯა. მას სიკვდილი მიუსაჯეს ხმების უმრავლესობით: 380

ხმა 310-ის წინააღმდეგ. ყოფილმა მეფემ დიდი სიმშვიდით მოისმინა განაჩენი, მისი უკანასკნელი სიტყვები კი იყო: „ვკვდები უდანაშაულო, მე არ მიმიძღვის ბრალი იმ დანაშაულებში, რომლებსაც მაბრალებენ. ამას ეშაფოტიდან გეუბნებით, ვემზადები უფალთან შესახვედრად. ვპატიჟობ ყველას, ვინც ჩემს სიკვდილშია დამნაშავე“.

16 ოქტომბერს თავი მოკვეთეს დედოფალ მარია-ანტუანეტას, რომელსაც რევოლუციურმა ტრიბუნალმა ბრალი დასდო ღალატში, სამოქალაქო ომის წაქეზებასა და დანაშაულებში ზნეობრიობის წინააღმდეგ. შემდეგ გილიოტინა გაიარა თითქმის ყველა ცნობილმა რევოლუციონერმა: რობესპიერმა, სენ-ჟიუსტმა, დანტონმა, დემულენმა, კუტონმა, ბაბეფმა და სხვებმა.

ხელისუფლებაში მოსულმა ნაპოლეონ ბონაპარტმა, რომელიც სამხედრო პიროვნება იყო, გილიოტინას დახვრეტა ამჯობინა. „ეროვნულ სამართებელს“ იყენებდნენ ყველაზე საშიში სისხლის სამართლის დამნაშავეთა დასასჯელად.

გავრცელებული წარმოდგენის საპირისპიროდ, ექიმი გილიოტენი არ გამხდარა „თავისი“ გამოგონების მსხვერპლი, არამედ გარდაიცვალა 76 წლის ასაკში საკუთარი ბუნებრივი მიზეზით. დიახ, 1974 წლის ზაფხულის დასაწყისში ის დააპატიმრეს რობესპიერის ბრძანებით, მაგრამ თავად რობესპიერის სიკვდილით დასჯის შემდეგ იმავე წლის 28 ივლისს გაათავისუფლეს. ასე რომ, ბედისწერამ არ დაუშვა ექიმის ნაცნობობა „მადამ გილიოტინასთან“. ზოგიერთ წყაროში ამტკიცებენ, რომ ის „დაიმალა მიყრუებულ პროვინციაში და დედაქალაქში ჩნდებოდა მეტად იშვიათად“, რომ ის გახდა „მორწმუნე ქრისტიანი და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე თხოვდა უფალს შეწყალებას თავისი ცოდვებისათვის“... ეს ნამდვილი სისულელეა! თუმცა, ადამიანებს ხელს არ უშლის დღემდე ლანძღონ იგი... იმის გამო, რაც მას არ გაუკეთებია. აი, ერთ-ერთი ასეთი „შემოქმედების“ მაგალითი:

მართალი კი, ის არის, რომ ჟოზეფ-იგნას გილიოტენი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში აგრძელებდა და მეტად წარმატებითაც მუშაობდა მედიცინაში, და მისი დამსახურებებიც ამ სარბიელზე სავსებით ბევრია, რომ შესულიყო ისტორიაში. მაგალითად, ის გახდა ყვავილის ვაქცინაციის კომიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი წევრი, 1800 წლის 11 მაისს კი ის ამ კომიტეტის პრეზიდენტად აირჩიეს. ამ თავისი პირმშოს (ვაქცინაციის) წინ წაწევის მიზნით დოქტორმა გილიოტენმა ჟოზეფინა დე ბოჰარნეს შემწეობით მოახერხა ნაპოლეონთან შეხვედრა, რაც 1803 წლის 23 ოქტომბერს გაიმართა. უნდა ითქვას, რომ მომავალი იმპერატორი ისე გაიტაცა გილიოტენის იდეებმა, რომ განკარგულება გასცა, ვაქცინაცია მთელ ქვეყანაში მოეწყოთ. ბრძანა, რომ ეს დაეწყოთ თავისი მრავალრიცხოვანი არმიით. უფრო მეტიც, ყვავილის წინააღმდეგ 1811 წლის 11 მაისს აუცრეს მის მემკვიდრეს, რომელიც ავსტრიელ მარია-ლუიზასთან ქორწინების შემდეგ გაჩნდა.

1804 წელს გილოტენი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პარიზში სამედიცინო აკადემიის დაარსებაში (მოგვიანებით მას მედიცინის საიმპერიო აკადემია ეწოდა). მუშაობდა შეუსვენებლივ.

ჟოზეფ-იგნას გილიოტენმა 1814 წლამდე იცოცხლა და გარდაიცვალა 26 მარტს კარბუნკულისგან (წყლული) მარცხენა მხარზე. ის დედაქალაქის პრესტიჟულ სასაფლაო პერ-ლაშეზე დაკრძალეს.

ხმები ამტკიცებენ, რომ დოქტორისა და მისი ოჯახის წევრებისათვის უკიდურესად არასასიამოვნო იყო: რომ სიკვდილის მანქანა მის სახელს ატარებდა. თითქოს ნაპოლეონისეულ საფრანგეთს მიმართეს კიდეც თხოვნით შეეცვალათ სასიკვდილო მანქანისთვის სახელი, მაგრამ იგი უარყვეს. დოქტორის გარდაცვალების შემდეგ კი თითქოს დოქტორის შვილებმა 1814 წელს გვარი შეიცვალესო. ეს ყველაფერი ლეგენდაა. ექიმ გილიოტენს შვილები არ ჰყავდა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: არა გილიოტენის მიერ გამოგონებული მექანიზმი ცოცხლებზე უფრო ცოცხალი აღმოჩნდა. და იგი ემსახურებოდა კაცობრიობას კიდევ ძალიან, ძალიან დიდხანს.

მაგალითად, შვედეთში სიკვდილის მანქანას იყენებდნენ 1910 წლამდე. განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება „მადამ გილიოტინთან“ ჩამოუყალიბდა ადოლფ ჰიტლერს: მასთან „პაემანზე“ ჰიტლერმა დაახლოებით 40 ათასი კაცი გაგზავნა, რომელთა შორისაც იყო ჩეხი პატრიოტი იულიუს ფუჩიკი (1943 წლის 8 სექტემბერი), საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე ვერა აპოლონის ასული ობოლენსკაია (1944 წლის 25 აგვისტო). სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ სიკვდილით დასჯის ამ სახეობას ძალიან დიდხანს იყენებდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპულიკაში, სადაც იგი დახვრეტით მხოლოდ 1966 წელს შეცვალეს.

გილიოტინას იყენებდნენ ბელგიაში, საბერძნეთში, შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებში. ძნელია ამის დაჯერება, მაგრამ საჯარო სიკვდილით დასჯა საფრანგეთში მხოლოდ 1939 წელს გააუქმეს. 1951 წელს კი პრესაში აიკრძალა სასჯელის სისრულეში მოყვანის აღწერა. გილიოტინის დანა დამნაშავის კისერზე უკანასკნელად დაეშვა საფრანგეთში 1977 წლის 10 სექტემბერს: მარსელში ასე დასაჯეს სიკვდილით არაბული წარმომავლობის მკვლელი ჰამიდ ჯანდუბი. სწორედ ის გახდა უკანასკნელი ადამიანი, რომელსაც დასავლეთ ევროპაში გილიოტინის დანით მოკვეთეს თავი.

სხვათა შორის, თავად დასახელება „გილიოტინა“ მყარად დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში. ასე უწოდებენ ქაღალდის, ხისა და ლითონის, სიგარების ბოლოების მოსაჭრელ სხვადასხვა მოწყობილობას (საჭრელები, მოსაჩეხი დანები).

რა დარჩა თავად გილიოტინისაგან? გასაოცარია, მაგრამ საფრანგეთის მუზეუმებში იგი შეიძლება იხილო მაკეტების, ან ცალკეული ფრაგმენტების სახით. ამის ახსნა ასეთია: სიკვდილით დასჯის გაუქმების შემდეგ იუსტიციის მინისტრმა რობერტ ბადენტერმა გასცა ბრძანება, მოეხდინათ ორი მანქანის დემონტაჟი, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩენოდა საფრანგეთს. მაგრამ არც ერთმა მუზეუმმა არ ისურვა მათი მიღება, თანამშრომლები უმალვე დაიმუქრნენ გაფიცვით, თუ ტერორებისდროინდელი ეს ურჩხულისებრი მოწყობილობა, სისხლის ნაკვალევით გაჟღენთილი, გაჩნდება სამუზეუმო დარბაზშიო. ბოლოს და ბოლოს, ეს ორივე ეგზემპლარი წაიღეს რომელიღაც მივარდნილ სამხედრო ფორტში, და მათი შემდგომი ბედი უცნობია.

სერგეი ნეჩაევი.



СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
2014 წ. სექტემბერი

◎ სათრეველა

მხეცს ზოოპარკი ნატრულობს

ნაკაცარი და ახვარი
კვლავ გვემუქრება ლახვარით,
თავის ქცევით და სახელით
პითეკანთროპის დონისა.
ამერიკიდან ჩაფრინდა
და 500-მდე ჩაფრითა
გაჩაღება სურს სარფიდან
ძმათამკვლელების ომისა.

ქვეყნის წესრიგის პატრონო,
პატრულო, ჩვენო პატრულო,
დროზე შემოჭე სატანა,
თორემ უკადრისს კადრულობს.
ქვეყანა რომ ვერ არიოს,
მისთვის მზადა გვაქვს გალია,
დაჭერა შენი ვალია, –
მხეცს ზოოპარკი ნატრულობს...

ალექსანდრე შენგელია

◎ ინფორმაცია

იანვრიდან რესტორნებში ღვინოზე კონტროლი გამკაცრდება

ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა.

მისივე თქმით, სამინისტრო გეგმავს ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარებას და შესაბამისი რეაგირება მოჰყვება, თუ სადმე აღმოჩნდება ფალსიფიკაცია.

„ეს ემსახურება დარგის კიდევ უფრო გაძლიერებას, პოპულარიზაციას. სოფლის მეურნეობაში ეს დარგი გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტალურად განვითარებული დარგი და სუბსიდირების ნაწილში მომავალ წელს ჩვენ, რა თქმა უნდა, გადავხედავათ. იმედი გვაქვს, რომ აღარ დასჭირდება ამ დარგს სუბსიდირება, რადგან საკმაოდ სტაბილურად განვითარდა“, — განაცხადა ოთარ დანელიამ.

ოთარ დანელიამ ისაუბრა ჭაჭის კონტროლზეც, რომელიც ასევე განხორციელდება. მინისტრის თქმით, ბევრი მელვინე ჭაჭის კონტროლს ისტორიულ გარღვევად აფასებს. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ჭაჭის კონტროლი მოგვცემს საშუალებას, რომ ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო, ყველა ღვინო იყოს ნამდვილი და არა — ფალსიფიცირებული.

სასმელის დალევა მარტო რესტორანსა და სახლშია ნებადართული

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის იურიდიული სამმართველოს უფროსი საჯარო სივრცეში ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებულ რეგულაციებზე განმარტებას აკეთებს.

ალკოჰოლის მოხმარების წესებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171 მუხლი განსაზღვრავს. ზვიად ოქროპირიძის თქმით, ცვლილებები ამ მუხლში 2013 წლის ნოემბერში შევიდა.

„ცვლილებებით მოხდა რეგულაციების დახვეწა და შეესაბამისობაში მოვიდა ეს მუხლები თუ ჩანაწერები საერთაშორისო პრაქტიკასთან. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული წესით ისჯება ალკოჰოლური სასმელების სმა სტადიონზე, სკვერში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ასეთ ადგილად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი საჯარო ანუ ღია სივრცე, სადაც შეიძლება შეიკრიბოს ორი ან მეტი პირი. მაგალითად: ქუჩა, გაჩერების პუნქტები, ტროტუარები, გადასასვლელები, ხიდები, გვირაბები, სადარბაზოები, კორპუსის მიმდებარე ტერიტორია“, — განაცხადა ზვიად ოქროპირიძემ.

მისი თქმით, პირველ შემთხვევაში პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია 50-150 ლარამდე ოდენობით ჯარიმით, ხოლო განმეორებით შემთხვევაში — 500 ლარამდე ოდენობით ან დამატებით 15 დღემდე ვადით პატიმრობით.

ეს მუხლი არ ვრცელდება სავაჭრო-საზოგადოებრივი კვების საწარმოების და იმ ადგილებზე, სადაც ალკოჰოლური სასმელის ჩამოსხმით გაყიდვა არის ნებადართული, — განაცხადა ზვიად ოქროპირიძემ.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

დიპლომატიური პიარი ფოლის ზღვარზე



შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მიხეილ სააკაშვილისგან მოსყიდვაში დასდეს ბრალი

შვედეთში სკანდალი გაჩაღდა: გაზეთი „აფტონბლადეტი“ ბრალს სდებს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელს კარლ ბილდტს კორუფციასა და საქართველოს ყოფილი ხელმძღვანელის ლობირებაში არც თუ უანგაროდ. ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ აქვთ დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ: ბილდტთან დაკავშირებულმა ფირმამ „Kreab“-მა საქართველოს ყოფილი ხელისუფლებისაგან მიიღო სამ მილიონზე მეტი დოლარი მიხეილ სააკაშვილის იმიჯის გაუმჯობესებისათვის ევროპაში. საქართველოს კანცელარიის ყოფილმა ხელმძღვანელმა დაადასტურა გარიგების ფაქტი, თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ იგი დაიდო მანამ, სანამ კარლ ბილდტი მინისტრი გახდებოდა. შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის პრესმდივნის სიტყვებით, ბატონი ბილდტი მას შემდეგ პიარს აღარ ეწეოდა. მაგრამ მეგობრული ურთიერთობანი მიხეილ სააკაშვილთან მას არ გაუწყვეტია, ის აგრეთვე ითვლება რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ კრიტიკოსად ევროპელ პოლიტიკოსთა შორის.

კარლ ბიდლდტისა და მიხეილ სააკაშვილის ოფიციალურ კავშირურთიერთობებზე გამოცემამ პირველად დაწერა ჯერ კიდევ 2012 წელს. მაგრამ მაშინ ჟურნალისტები ამ დასკვნებს ამყარებდნენ თავისი წყაროების მონაცემებზე. ამჟამად გამოცემამ გამოუშვა თავისი გამოკვლევის მეორე ნაწილი, რომელიც ემყარება ჟურნალისტების განკარგულებაში არსებულ „სააკაშვილის მთავრობის საიდუმლო დოკუმენტებს“. ქაღალდები, თითქოსდა შემოვიდა მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილი მაღალი ჩინოვნიკებისაგან, რომლებიც 2008 წლის „ხუთდღიანი ომის შემდეგ“ გადავიდნენ ოპოზიციაში — ესენი არიან ექსპრემიერი ზურაბ ნოღაიდელი და ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა. ჩვენი გაზეთის მცდელობა, დავკავშირებოდით მას, წარუმატებელი აღმოჩნდა: ბატონი ნოღაიდელი უცხოეთშია, ბატონი ხაინდრავას ტელეფონი კი გამორთული იყო.

როგორც სტატიიდან ჩანს, კარლ ბილდტმა, რომელიც 2004-2006 წლებში სათავეში ედგა შვედეთის საგენტო „Kreab“-ის დირექტორთა საბჭოს, ხელი მოაწერა კონტრაქტს საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან სამ მილიონ დოლარის თანხაზე. გარიგების პირობით, ეს სააგენტო უნდა დახმარებოდა საქართველოს ხელისუფლებას მოეწესრიგებინა კავშირურთიერთობები ევროპელ პოლიტიკოსებთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. „Kreab“-ის ბრიუსელის ბიუროს ხელმძღვანელმა კარლ ისაკსოვნმა დაუდასტურა გაზეთს, რომ მაშინ კარლ ბილდტი მართლაც „მხარს უჭერდა საქართველოს ხელმძღვანელობას და იყო მისი მეგობარი“.

ჩვენმა გაზეთმა ინფორმაცია გარიგების შესახებ მიიღო საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი უფროსის პეტრე მამრაძისგან. **„ყველაფერი ხდებოდა იმ წლებში, როდესაც ბილდტი უკვე აღარ იყო შვედეთის პრემიერი და ჯერ კიდევ არ გამხდარიყო საგარეო საქმეთა მინისტრი, ესე იგი არ ეკავა არანაირი პოსტი“,** — დააზუსტა ბატონმა მამრაძემ. მისი სიტყვებით, საქართველოს საქმეებს „Kreab“-ში წარმართავდა მხოლოდ სამი-ოთხი კაცი, მათ შორის თავად კარლ ბილდტიც, და „მთელ ფულს იყოფდნენ ისინი“. **„მე არ მაკვირვებს, თუ რატომ იცავდა ასე თავგამოდებით ბილდტი სააკაშვილის ინტერესებს და ევროპელი დიპლომატები ჩემთან საუბარში რატომ ასე ხშირად ასახელებდნენ მას „როგორც მიშიკოს მეგობარს დასავლეთში“,** — ამბობს ყოფილი ჩინოვნიკი.

2006 წლის ოქტომბერში კარლ ბილდტი სათავეში ჩაუდგა შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და წავიდა „Kreab“-იდან. თუმცა, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, კონტაქტი კვლავ გრძელდებოდა საქართველოს ხელისუფლებასთან. გაზეთის მონაცემებით, ბატონი ბილდტი არერთგზის უჭერდა მხარს მიხეილ სააკაშვილს. ეს ყველაზე ნათლად გამოვლინდა საქართველოში 2008 წლის პრეზიდენტის არჩევნების დროს. საერთაშორისო მეთვალყურეთა აზრით, ხმის მიცემა მოხდა მრავალრიცხოვანი დარღვევებით. ამის შესახებ საჯაროდ განაცხადა შვედეთის ელჩმაც კი თბილისში ჰანს გუნარ ადენმა. მაგრამ კარლ ბილდტი გამოვიდა მიხეილ სააკაშვილის დასაცავად, განაცხადა, რომ არჩევნების შედეგები „ეჭვს არ იწვევს“. „საქართველომ წარმოაჩინა თავისი ერთგულება დემოკრატიისა და ეკონომიკური რეფორმებისადმი“, — ამტკიცებდა მაშინ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. ჰანგს გუნარ ადენი კი ამ ისტორიის შემდეგ, როგორც „აფტონბლადეტი“ წერს, ვადამდე გაიწვიეს სტოკჰოლმში.

გაზეთის გაანგარიშებით, კარლ ბილდტმა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად ყოფნის დროს 11-ჯერ მოინახულა საქართველო. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქვეყანაში და მიხეილ სააკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის დაწყებიდან, ბატონი ბილდტი ყველაზე მკაცრად აკრიტიკებდა ახალ ხელისუფლებას, ბრალს სდებდა მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ევროპული დემოკრატიული ნორმებიდან უკან დახევაში და მცდელობაში გამოიყენოს სამართალდაცვა პოლიტიკური და პირადი ანგარიშსწორებისათვის.

ექსპრეზიდენტ სააკაშვილის ამჟამინდელი თანამებრძოლები ოპოზიციური პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უსაფუძვლოდ მიიჩნევენ ეჭვს, რომ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიცია „ხუთდღიანი ომის“ შემდეგ, და მიხეილ სააკაშვილისადმი მისი მხარდაჭერა კონტრაქტითა და თანხით, რასაც კარლ ბილდტი საქართველოს ხელისუფლებიდან ღებულობდა „Kreab“-ის მეშვეობით. „მთელი ეს ინფორმაცია მოსკოვის დივერსიაა“, — განაცხადა პარლამენტის წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ დავით დარჩიაშვილმა.

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავა ამ შეფასებას არ ეთანხმება. ჩვენს გაზეთთან საუბარში მან „Kreab“-ის და კარლ ბილდტის საქმიანობას უწოდა „ქრთამის ტიპური შემთხვევა ლობისტური მოღვაწეობის ანაზღაურების ფორმით“. „რასაკვირველია, არის პირდაპირი კავშირი ბილდტის პოზიციასა და ფულს შორის, რომელსაც იგი ღებულობდა სააკაშვილისგან, — დარწმუნებულია კახა კუკავა. — ასეთივე კონტრაქტები სააკაშვილმა დადო ამერიკულ სააგენტოსთანაც, და სწორედ ამიტომ ზოგიერთი პოლიტიკოსი ამერიკის შეერთებულ შტატებში ასე თავგამოდებით იცავს ჩვენს ექსპრეზიდენტს“. ბატონმა კუკავამ შეგვახსენა საქართველოს გენერალური პროკურატურის გამოძიება ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივან გიგა ბოკერიასთან დაკავშირებით, რომელსაც ბრალი ედებოდა სახელმწიფო სახსრების გაფლანგვაში, რომელიც გამოიხატებოდა მილიონობით დოლარში ამერიკული ლობისტური ორგანიზაციებისათვის.

თავად გიგა ბოკერია ამტკიცებს, რომ ფული იხარჯებოდა „საქართველოს ინტერესებისთვის და არა კონკრეტულად პრეზიდენტის ან რომელიმე პოლიტიკური პარტიისთვის“. **„კარლ ბილდტი, სენატორი მაკკეინი და სხვა დასავლელი გავლენიანი მოღვაწეები იცავენ საქართველოს რუსეთის აგრესიის წინაშე, — გვარწმუნებდა ბატონი ბოკერია ერთ-ერთ ინტერვიუში. — ყველა საუბარი იმის შესახებ, თითქოს ისინი ამას აკეთებენ ფულის გულისთვის, — რუსული პროპაგანდაა.**

შვედეთში თავად ინფორმაციამ კარლ ბილდტის შესაძლო მონაწილეობის შესახებ კორუფციაში სერიოზული პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია: კვირისათვის დანიშნულია პარლამენტის არჩევნები, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი კი — ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია მმართველი ზომიერი კოალიციური პარტიისა. ამ პარტიის ოფისში ჩვენ გაზეთს უარი უთხრეს კომენტარებზე.

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

ევროკავშირის ახალ სანქციებში მოხვდნენ „როსნეფტი“, „ტრანსნეფტი“, „გაზპრომ ნეფტი“

ბრიუსელმა გამოაქვეყნა ახალი სანქციების სია. ამ მომენტიდან შეზღუდვის ზომები ძალაში შევიდა. ევროკავშირმა ასევე შემოიღო აკრძალვა სავალო-საფინანსო ორგანიზაციებთან დაკავშირებით რუსეთის სამ უდიდეს თავდაცვის კონცერნზე — ესენია „ურალვაგონზავოდი“, „ობორონპრომი“ და „გაერთიანებული ავიასამშენებლო კორპორაცია.

აშშ-მა და კანადამ უკრაინაში სიტუაციის გამო გააუქმეს ალასკაზე რუსეთის ფედერაციასთან ერთობლივი სწავლება

ყოველწლიურად რუსეთ-ამერიკა-კანადის სწავლება „ფრთხილი არწივი“ ეწყობა 2006 წლიდან. მხარეების შეთანხმებით, სწავლათა ციკლი ორწლიანი იყო: ერთ წელიწადს — ზაფხულისა, მომდევნო წელს — სასარდლო-სააშტაბო და კომპიუტერული. წელს სწავლებაში პირველად მონაწილეობა უნდა მიეღო იაპონიასაც.

გამოკითხვა: ჩინელთა უმრავლესობა იაპონიასთან ომის დაწყებას 2020 წლისთვის ელოდება

ორი წლიდან მას შემდეგ, რაც გამწვავდა ჩინეთისა და იაპონიის დავები კუნძულ დიაოიუიუოდაოს (სენკაკუ) გამო ორივე ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი საუბრობს მეზობლებთან ნეგატიური ურთიერთობის შესახებ,

თუმცა მათი წილი, ვისაც ტერიტორიული პრეტენზიები ძირითად პრობლემად მიაჩნია, მცირდება. ჩინელთა ნახევარზე მეტი ელოდება ომს იაპონიასთან მალე. ჩინელებთან კონფლიქტის შესახებ საუბრობს გამოკითხულ იაპონელთა ერთი მესამედი.

„ნასამ“ დაამთავრა ახალი კოსმოსური ხომალდის „ორიონის“ მონტაჟი, მისი პირველი ფრენითი გამოცდა დეკემბერში მოეწყობა

ხომალდის, რომელიც იმუშავებს ავტომატურ რეჟიმში გაშვების მიზანია, დარწმუნდნენ იმაში, რომ ხომალდი არ დაზიანდება ატმოსფეროს სქელ ფენებში შემოსვლის დროს დედამიწაზე დაბრუნებისას დიდი სიჩქარით. ვარაუდობენ, რომ „ორიონი“ შეასრულებს ორ შემოფრენას დედამიწის გარშემო, დაშორდება მას 14-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე საერთაშორისო კოსმოსური სადგური.



◎ ჯოჯოხეთია მოსაგონებლად...

„მეგონა, რომ ეს ტრაგედია მთელ სამყაროს შეცვლიდა“...

ამბობენ, რომ ყველა ამერიკელს ზუსტად ახსოვს, თუ სად იყო და რა გაენიცადა 11 სექტემბრის იმ ტრაგიკულ დილას, როცა ისინი პირდაპირ ეთერში ადევნებდნენ თვალს თავზარდამცემ მოვლენებს. ზოგიერთი მათგანი მოვლენების ეპიცენტრში იყო და ნიუ-იორკის შენობების დანგრევას და ერთდროულად ათასობით ადამიანის დაღუპვის სცენას უშუალოდ შეესწრო. ეს დღე ნიუიორკელი ქართველებისთვისაც მტკივნეული მოგონებაა.

იანა გეგეჭკორი მაშინ ნიუ-იორკში ტყუპი ცათამბჯენებიდან სულ ორი ქუჩის გადაღმა მდებარე Prudential Security-ს ოფისში მუშაობდა. 3 თვის ორსული იმ დილით სამსახურისკენ ჩქარობდა. ალმოდებული შენობა შორიდან დაინახა და ძალიან შეეშინდა, რადგან იქ 67-ე სართულზე მისი უახლოესი მეგობრის და მენტორის შვილი მუშაობდა და ცახცახით სართულების თვლა დაიწყო. იანას ამბის მოყოლისას ახლაც ხმა უკანკალებს. შემდეგ ავტობუსი გაჩერდა. უთხრეს, რომ ქუჩა გადაკეტილია და დანარჩენი მანძილის გავლა ფეხით მოუწევთ. ავტობუსიდან ჩამოსულს ქუჩაში სრული ქაოსი დახვდა. თვალში ჯერ უჩვეულო ჭვარტლი, სიბნელე, ჰაერში მოფარფატე ფურცლები და მტვერი მოხვდა. ადამიანები სხვადასხვა მიმართულებით გარბოდნენ, კითხულობდა, საით გარბოდნენ? რა უნდა ექნა? Just run – უბრალოდ გაიქეცი, გამოსძახეს უცნობებმა.

გადაწყვიტა, თავისიანებისთვის დაერეკა და ქუჩის ტელეფონის რიგში ჩადგა. ქორწილი სულ რამდენიმე დღის წინათ ჰქონდა და მასთან ბევრი ნათესავი და მეგობარი იყო ჩამოსული. წინა დღით, დედამთილმა და მამიდამ მოილაპარაკეს, რომ წასულიყვნენ მაღაზიში World of Knowledge, რომელიც უშუალოდ ტყუპ შენობებში იყო და ისინი აუცილებლად უნდა გაეფრთხილებინა, რომ იქ აღარ მისულიყვნენ.

„აი ის მომენტი მახსოვს ძალიან კარგად. „ფეი-ფოუნები“ იყო მაშინ ჯერ კიდევ და რიგში დავდექი, რომ დავრეკო-მეთქი. აი ამ რიგში რომ ვიდექი და, ეტყობა, მეორე თვითმფრინავის დარტყმის დროს, ამაგდო ჰაერში“. შეგრძნება დაახლოებით ისეთივე მქონდა, როგორც სომხეთში, სპიტაკში მომხდარი მიწისძვრის დროსო“, – ჰყვება იანა. ძალიან შეეშინდა და დაიბნა. ბედზე თანამშრომელი შეხვდა, რომელმაც ხელი სტაცა და შენობაში შეაგდო. იქ უკვე ტელევიზორით ადევნებდნენ თვალს მიმდინარე მოვლენებს. დაახლოებით სამი საათის შემდეგ, როცა ორივე შენობა დაინგრა, უთხრეს, რომ სახლში დაბრუნება შეეძლოთ. დიდხანს ფეხით იარა. კარგად არ ახსოვს დღის ეს ნაწილი.

„დავუყევით ასე ფეხით, „ბრუკლინ-ბრიჯი“ (ბრუკლინის ხიდი) გადავიარეთ და შეგრძნებაა საოცარი: თან გგონია, რომ ახალი მოთოვილია, თეთრი, თეთრი ყველაფერი. მაგრამ იცი, როგორი გრძნობაა? რომ ტალახში ხარ ამოვლებული, რაღაც სიბინძურე, პირს ვერ აღებ, ვერ ლაპარაკობ, იმიტომ რომ გამშრალი გაქვს, ვაიმე, აი აღარ... სახლამდე როგორ მივედი, არ მახსოვს. იყო საღამოს, ალბათ, სადღაც 8 საათი. ვილაც ქალი იყო, რომელმაც მომკიდა ხელი და მატარა. იმიტომ, რომ რაღაც მომენტში ვგრძნობდი, რომ ვეღარ მივდიოდი“.

ამის შემდეგ თვეების მანძილზე სამსახურში მარტო ვერ დადიოდა, ქმარი აცილებდა. სულ პანიკა და შიში ქონდა, **„სუნი მქონდა გამოყოლილი და ყველგან ის სუნი მცემდა. დღესაც, ასოციაცია რომ მაქვს შემთხვევით ამ სუნთან, ძალიან ცუდად ვხდები“,** – ამბობს იანა.

თამუნა ჩუბინიძე მანჰეტენში, მედისონ ავენიუზე მდებარე „ჯონი ფრიდას“ სალონში მუშაობდა. აფეთქების მომენტში უკვე სამსახურში, შენობაში იყო, რომელიც ტყუპი შენობებიდან საკმაოდ შორს მდებარეობდა. ამბობს, რომ ეს იყო უდიდესი შოკი მის ცხოვრებაში. ისიც 8 თვის ორსული ყოფილა და აგონდება ნიუ-იორკის ქუჩებში მდინარესავით მომავალი შავი კვამლი. გაურკვევლობის, პანიკის შეგრძნება ახსოვს, ის, რომ მთელი დღე ტელეფონით ვერავის უკავშირდებოდა. თამუნა ჰყვება, რომ ოჯახში ყველაზე დიდი შოკი მაინც, ალბათ, 8 წლის დამ და მისმა მეგობრებმა მიიღეს, რადგან ერთ-ერთ თანაკლასელს ტყუპ შენობებში დედა დაეღუპა.

მანჰეტენში მუშაობდა **თამუნა ბაქრაძეც**. პირველი, რაც გაიფიქრა, იყო ის, რომ მისი მეგობარი, ქართველი გოგონა იქ ტყუპ შენობებში მდებარე საადვოკატო ფირმაში მუშაობდა და მასთან დაკავშირება სცადა, მაგრამ ამაოდ, ყველა ტელეფონი გამორთული იყო. თამუნას მოყოლის დროს ტირილი უტყდება და საუბარს დროებით ვწყვეტთ...

სათუნა ბათლიძესთან დაკავშირებას იმ დღეს **გოგი გაბუნიაც** ცდილობდა. ის დილით უკვე სამსახურში იყო, როცა უეცრად ხმაური და ყვირილის ხმა შემოესმა და ოფისიდან გამოვიდა. დერეფანში უთხრეს, რომ მსოფლიო სავაჭრო ცენტრს თვითმფრინავი დაეჯახა და იწვის. **„უცბად გავვარდით. დიდი ლაბორატორია იყო, ერთი 20 კაცი ვმუშაობდით და ყველა მივარდა ტელევიზორთან. ძალიან დიდი პანიკა ატყდა, იმიტომ რომ ზოგს იქ ნაცნობები ჰყავდა, ნათესავები ჰყავდათ, ვინც იქ მუშაობდა. ერთ-ერთ შენობაში ჩემი მეგობარი მუშაობდა ქართველი, ძალიან შემეშინდა, იქ ხომ არ არის-მეთქი. გადარჩა, იმიტომ რომ დააგვიანა ფაქტობრივად სამსახურში მისვლა. ყველა მისი თანამშრომელი დაიღუპა“.**

ნიუიორკელი ქართველები 2001 წლის 11 სექტემბერს იგონებენ

გოგი სტომატოლოგია და იგონებს, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ტყუპ შენობებში გადარჩენილ ერთ-ერთ მეხანძრეს, რომელიც მისი პაციენტი იყო, დამტვრეული კბილები უფასოდ აღუდგინა. მეტი რა შემეძლოო, ამბობს. მეხანძრე შენობის დანგრევის მომენტში 37-ე სართულზე ყოფილა, მაგრამ ბლოკებს შორის ისე ჩავარდნილა, რომ სასიცოცხლო ორგანოები არ დაზიანებია. მისი თანამშრომლების უმეტესი ნაწილი დაღუპულია.

ნიკა ჩხეიძემაც ტყუპ შენობაზე თვითმფრინავის დაჯახების მომენტი ტელევიზორში ნახა. თავიდან კინო ეგონა და სიძეს დაუძახა, მოდი, ნახე, რა მაგარი გაკეთებული ფილმიაო. **„არავინ არ ველოდებოდით, რომ დაინგრეოდა ეს შენობები, რატომღაც მეგონა, რომ ამერიკული ისტებლიშმენტი იმდენად ორგანიზებული და მობილიზებული იყო, რომ იმას (ხანძარს) ძალიან მარტივად ჩააქრობდნენ. თუ არ ჩააქრობდნენ, აუცილებლად ჩამოიყვანდნენ სახურავებიდან ხალხს, ისე, როგორც ნანახი მაქვს ამერიკულ ფილმებში... ყველაზე ცუდი შეგრძნება რა მახსოვს იცი? თვითმფრინავი რომ დაეჯახა უკვე პენტაგონს. აი მაშინ უკვე მართლა ავნერვიულდი და ჩავთვალე, რომ დაიწყო სერიოზული ომი ამერიკის წინააღმდეგ“,** – ამბობს ნიკა.

ეკა ნერგაძე სწორედ იმ რეისზე უნდა ყოფილიყო, რომელიც ლოს ანჯელესში მიფრინავდა და ტყუპ შენობას დაეჯახა, რადგან ძალიან ეჩქარებოდა და პირდაპირ რეისს ეძებდა. ბედზე ყველა ბილეთი გაყიდული დახვდა. ჩიკაგოთი მოუწია გადაფრენა. **„რატომღაც დამამახსოვრდა ის ხედი, ტყუპ შენობებს რომ ჩავუარეთ აფრენისას, ისეთი კრიალა ცა იყო და ისეთი ლამაზი იყო მანჰეტენი იმ დილით, რომ ილუმინატორიდან თვალი ვერ მოვწყვიტე. არადა, დაჯახება, ალბათ, სულ რამდენიმე წუთში მოხდა“.**

ჩიკაგოს აეროპორტში უკვე საგანგებო მდგომარეობა დახვდა. ევაკუაცია გამოცხადდა. ეკა გაკვირვებული ადევნებდა თვალს, თუ როგორ მშვიდად, დროდადრო ერთმანეთისთვის ბოდიშის მოხდით და გზის დათმობით, საოცრად ორგანიზებულად იცლებოდა უზარმაზარი აეროპორტი. თუმცა, სახეები სტრესისგან ყველას შეშლილი ჰქონდაო, იგონებს. მაშინ მივხვდი, როგორები არიან ამერიკელებიო. თვითონ საშინლად ნერვიულობდა, რადგან ოჯახის წევრებს აფეთქებულ თვითმფრინავზე ეგონათ და მათთან 8 საათის მანძილზე დაკავშირება ვერ შეძლო, რომ ეთქვა, ცოცხალი ვარო. ეკას თქმით, მგზავრები სამგზავრო ავტობუსებით სასტუმროებში გადაიყვანეს და 4 დღის მანძილზე სასტუმრო და სამჯერადი კვება მათ მთავრობამ გადაუხადა.

კვამლი და დამწვრის სუნი იმ დილით ქვინსამდეც მოდიოდაო, ყვება **თამრიკო ტვილდიანი.** ისეთი შოკი იყო, რომელიც სამუდამოდ გამყვება და სანამ ცოცხალი ვარ, არასოდეს დამავიწყდებაო. **„ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ მეგონა, ამ ტრაგედიის შემდეგ მთელი სამყარო შეიცვლებოდა. სამწუხაროდ, დღეს ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მას შემდეგ დიდად არაფერი შეცვლილა“.**

მაია ძვარცხავა,
რადიო „თავისუფლება“

◎ საქართველო-ისრაელი

ლიტერატურული ურთიერთობები

საქართველო-ისრაელის, ქართველი და ებრაელი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა მთარგმნელები ძველი აღთქმის წიგნების ქართულად გადმოღებას შეუდგნენ – შორეულ საუკუნეებში, მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე იმაზე ოცნებაც კი, რომ ქართული მწერლობა ხელმისაწვდომი გამხდარიყო ბიბლიის შემქმნელი ერისათვის, შეუძლებელი გახლდათ. შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ იმ გამონაკლისად რჩება, რაც გენიალურ შემოქმედთა და ქმნილებათა ხვედრია.

ამ ბოლო წლებში ეს ხარვეზი ივსება – ისრაელში დღითი დღე ძლიერდება ინტერესი თანამედროვე ქართული მწერლობისადმი, რასაც ხელს უწყობს საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების მეცადინეობა. ამას წინათ, აკადემიკოს როინ მეტრეველის, რომელიც ისრაელსა და საქართველოს შორის მეგობრულ ურთიერთობას უდგას სათავეში და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის მეთაურობით, ქალაქ თბილისის მერიის დიდი ხელშეწყობით ისრაელში ჩატარდა ქართული პოეზიის კვირეული, გამოიცა ბილინგვური გამოცემა ქართველი და ისრაელელი პოეტებისა ქართულ და ებრაულ ენებზე. 10 სექტემბერს კი საქართველოს მწერალთა სახლში როინ მეტრეველის მეთაურობით ჩატარდა ისრაელში გამომავალი ჟურნალის „მარეა“ („ხედვა“) ბოლო ნომრის პრეზენტაცია. ჟურნალის ამ ნომერში რუბრიკით „კულტურათა დიალოგი“ წარმოდგენილია ქართული მწერლობა. ნომერში დაბეჭდილია როინ მეტრეველის „ებრაელები საქართველოში“, ჯანსუღ ჩარკვიანის, მუხრან მაჭავარიანის, თ. ჭილაძის, ფრიდონ ხალვაშის, ბესიკ ხარანაულის, მაყვალა გონაშვილის ლექსები, თავები ზაქარია ჭიჭინაძის წიგნიდან საქართველოს ებრაელობაზე, რამდენიმე ესე გურამ ბათიაშვილის ჩანაწერების წიგნიდან „სახეები და სიტუაციები“, ისრაელელი პოეტები, მთარგმნელები ორციონ ბართანა, ზივა ფელდმანი, ოფრა მაცოვ-ქოენი კითხულობდნენ ქართველი პოეტების ლექსებს, ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე ისაუბრეს როინ მეტრეველმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, მაყვალა გონაშვილმა.

8-10 სექტემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც გამართეს თელ-ავივის და თბილისის უნივერსიტეტებმა. კონფერენციის მთავარი თემა გახლდათ საქართველოს, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაელობა. წაიკითხეს ერთობ მაღალი სამეცნიერო დონის მოხსენებები, ზოგი მათგანი ქართულ მწერლობას შეეხებოდა. პროფესორმა რეუვენ ენოხმა ისაუბრა „ვეფხისტყაოსნის“ გაპონოვისეულ თარგმანზე, დოქტორ ზივა ფელდმანის მოხსენების თემა იყო გალაკტიონის „ქარი ქრის,“ პროფესორ ორციონ ბართანასა და დოქტორ ოფრა მაცოვ-ქოენის მოხსენებები ეძღვნებოდა გურამ ბათიაშვილის რომანებს „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისას“ და „მეათე კაცს“.

გურამ ბათიაშვილი

◎ ძალოსნობა

60 ათლეტის მონაწილეობით

რვა წონითი კატეგორიის 60 ათლეტი შეიკრიბა დუშეთის კულტურის სახლში, რომელიც ძალოსანთა საქართველოს ჩემპიონატს მასპინძლობს. ასპარეზობის პირველ დღეს ფიცარნაგზე 56, 62 და 69 კილოგრამი წონის სპორტსმენებმა მოსინჯეს ძალები. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

56 კგ. 1) ზაზა ფუტკარაძე (აჭარა) — 200 კგ (ატაცი 90 კგ, აკვრა 110 კგ), 2) ზვიად ფუტკარაძე (აჭარა) — 190 კგ (85+105), 3) ხვიჩა ჯინჭარაძე (აჭარა) — 163 კგ (71+92).

62 კგ. 1) რამინ შამილაშვილი (აჭარა) — 266 კგ (121+145), 2) გოდერძი ბერდელიძე (საჩხერე) — 234 კგ (109 +125), 3) ბექა ბერუაშვილი (თბილისი) 199 კგ (89+110).

69 კგ. 1) თორნიკე თოდაძე (საჩხერე) — 283 კგ (130+153), 2) ვაჟა ქავთარაძე (აჭარა) — 263 კგ (116+147), 3) გოგა ჩხეიძე (ზუგდიდი) — 262 კგ (117+145).

ეროვნული ჩემპიონატის შედეგებით დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი — გიორგი ასანიძე), რომელიც 6-16 ნოემბერს ალმათიში (ყაზახეთი) სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვა. ამ შეჯიბრებით რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების საგზურებისთვის ბრძოლაც დაიწყება.

ლაშა დიდია

◎ თარიღი

„ბორჯღალოსნებს“ 25 წელი შეუსრულდათ!

25 წელი შესრულდა „ბორჯღალოსანთა“ სასტარტო ტესტიდან: ქართული სპორტის ისტორიაში პირველად შედგენილმა გუნდური სახეობის ეროვნულმა ნაკრებმა ქუთაისში უმასპინძლა ზიმბაბვეს და 16:3 გაიმარჯვა.

ასე გადაიდგა პირველი ნაბიჯი ქართული რაგბის საერთაშორისო აღიარებისკენ, რაც 1992 წლის 27 თებერვალს ირბ-ის წევრად გახდომით დაგვირგვინდა.

მას აქეთ საქართველო 4-ჯერ (2003, 2007, 2011, 2015) გავიდა რაგბის მსოფლიო თასზე.

„ბორჯღალოსნებმა“ 12 გათამაშებაში 7-ჯერ (2001, 2007/8, 2009, 2011, 2012, 2013, 2014) მოიპოვეს „ერთა თასი“, 15 სეზონში 9-ჯერ (2001, 2005, 2007, 2008, 2009, 2011, 2012, 2013, 2014) იმარჯვეს წლიურ „უმცროს 6 ერზე“, 4-ჯერ (2001, 2008, 2011, 2014) შეასრულეს სლემი (ძლიეს ყველა მეტოქეს), 8-ჯერ (2005, 2007, 2008, 2009, 2011, 2012, 2013, 2014) შემართეს რუმინეთთან საცილო „ანთიმოზ ივერიელის თასი“ და რუსეთსაც 16-1 ჯობნიან.

სულ ჩვენი სასახელო გუნდის ბალანსია 167 ტესტი: 101 მოგება, 60 წაგება, 6 ფრე, ბორჯღალიანი კვართი კი 224 მოთამაშეს სცმია.

ვულოცავთ სრულიად სარაგბო თემსა და სპორტულ საზოგადოებას „ბორჯღალოსანთა“ იუბილეს და საგანგებო მადლობას ვუძღვნით პირველი გამარჯვების შემოქმედ გუნდს.

12/09 1989; ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი (წვიმა, 12 ათასი)

საქართველო 16:3 ზიმბაბვე

საქართველო: 15 ვანო საცერაძე, 14 ალეკო ხვედელიძე, 13 ოლეგ ლიპარტელიანი (კაპ, 16 კახა მაჩიტიძე 33), 12 მალხაზ ჭეიშვილი, 11 ბათლომე ხამაშურიძე; 10 ნუგზარ ძაგნიძე, 9 მამუკა ლოსაბერიძე, 1 ზაზა ბაკურაძე, 2 თენგიზ ტურძელაძე, 3 ბესარიონ ლილუაშვილი (21 გელა ფირცხალავა 71), 4 თამაზ ხუადე, 5 ალექსანდრე ისაკაძე (20 თამაზ ოდიშარია 49), 6 თამაზ ფხაკაძე, 7 გია გიუნაშვილი, 8 დათო ღუდუშაური, 17 ოლეგ ჟორჟოლიანი, 18 ემზარ გეგუჩაძე, 19 ზვიად ლიპარტელიანი, დავით კილასონია, დუგლას კავთელაშვილი, თემურ ბენდიაშვილი.

კობა კობახიძე

◎ ჭადრაკი

კვარცხლბეკს მიღმა

ძართველი ფიდეს ოსტატი ნატო იმნაძე მონაწილეობდა რუმინეთში დამთავრებულ მოჭადრაკე ქალთა წრიულ საერთაშორისო ტურნირში. იგი მეტოქეობას უწევდა სამი ქვეყნის 9 დიდოსტატსა და საერთაშორისო ოსტატს. ბოლო მე-9 ტურში მასპინძელ ელენა-ლუმინიტა კოსმას დაუზავდა და 5 ქულით სწორედ მასთან გაიყო მეოთხე — მეხუთე ადგილები.

ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ადრიანა — კამელია კიობანუ (რუმინეთი) — კაროლინა ოლშაროვა (ჩეხეთი) 0,5:0,5, მიხაელა სანდუ (რუმინეთი) — იოანა გულიპი (რუმინეთი) 1:0, ირინა იონესკუ (რუმინეთი) — ირინა ბულმაგა (რუმინეთი) 0,5:0,5, მარინა მაკროპულუ (საბერძნეთი) — ტერეზა ოლშაროვა (ჩეხეთი) 0:1.

ცხრა შესაძლებლიდან 8 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა რუმინეთის ნაკრების წევრი ირინა ბულმაგა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: მიხაელა სანდუ, ტერეზა ოლშაროვა — 5,5-5,5, ელენა-ლუმინატა კოსმა, ნატო იმნაძე — 5-5, კაროლინა ოლშაროვა — 4,5, იოანა გულიპი, ადრიანა-კამელია კიობანუ — 3,5-3,5, ირინა იონესკუ — 2,5, მარინა მაკროპულუ — 2 ქულა.

ლექსო ცინცაძე

◎ იმატოს!

დაიწყო ხელბურთის სასახლის მშენებლობა

2015 წელს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს, 25-31 ივლისს ხელბურთელ ქალ-ვაჟთა 8-8 გუნდი დაუპირისპირდება ერთმანეთს. ამ ტურნირის გამართვას სპორტკომპლექს „არენაში“ აპირებდნენ, მაგრამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ახალი ორდარბაზიანი (800 და 2500 მაყურებელზე გათვალისწინებული) ნაგებობის აშენება გადაწყდა, რომლებიც თანამედროვე საფარითა და ყველა საჭირო ინვენტარით აღიჭურვება. ხელბურთის ახალი სასახლის მშენებლობა უკვე დაიწყო უნივერსიტეტის ქუჩაზე, მაღლივი კორპუსის მახლობლად. კომპლექსი 2015 წლის ზაფხულამდე დასრულდება.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს ხელბურთის ფედერაციას ევროპის ხელბურთის ფედერაციამ სპორტის ამ სახეობის განვითარების პროგრამით გრანტის სახით უახლესი მოდელის „ტერაფლექსის“ მოედნის საფარი გამოუგზავნა, რომელიც მალე დაიგება.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

გარსია: ვიცით, როგორ უნდა დავამარცხოთ „რეალი“

მადრიდის „ატლეტიკოს“ ნახევარმცველი რაულ გარსია მოახლოებული მადრიდული დერბის წინ ჟურნალისტთა წინაშე წარსდგა და აღნიშნულ მატჩზე ისაუბრა.

ესპანელი მოთამაშის თქმით, მისმა გუნდმა იცის, როგორ უნდა „რეალის“ დამარცხება და ამის გაკეთებას აპირებს.

„ჩვენ ვიცით, თუ როგორ უნდა ვითამაშოთ „რეალის“ წინააღმდეგ და მოვიპოვოთ გამარჯვება. შაბათს ამის ჩვენებას ვაპირებთ.

ბოლო პერიოდში „რეალთან“ მხოლოდ ესპანეთის თასზე არ გამოგვივიდა თამაში. ჩვენ იმ მატჩებს არასწორად მივუდექით“, — ციტირებს გარსიას სიტყვებს „მარკა“.

საუბრის ბოლოს რაული „ატლეტიკოში“ მომხდარ ცვლილებებსაც შეეხო. მისი აზრით, ტიბო კურტუას, ფელიპე ლუისისა და დიეგო კოშტას წასვლით კლუბი არ დასუსტებულა, რადგან მოიას, გრიზმანის, ჩერჩისა და მანჯუკიჩის დამატებით „როხიბლანკო“ სერიოზულად გაძლიერდა.

„ვფიქრობ, ჩვენი გუნდი ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე გასულ წელს. რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დავკარგეთ, მაგრამ მშვენიერი შემცვლელები ვიპოვეთ და წელსაც დიდი ამბიცია გვაქვს“, — დაასრულა საუბარი 28 წლის ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ მადრიდული დერბი დღეს 22 საათზე გაიმართება.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

ამერიკელებმა ლიტვას მე-3 მეოთხედში „გადაურბინეს“

საკალათბურთო მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ფინალისტი აშშ-ს ეროვნული გუნდი გახდა, რაც გასაკვირი ნამდვილად არ ყოფილა. ამერიკელებს პრობლემა არც ლიტვასთან ნახევარფინალურ შეხვედრაში შექმნიათ და 96:68 იმარჯვეს.

პირველი ტაიმის შემდეგ ბალტიისპირელები მეტოქეს მხოლოდ 8 ქულით ჩამორჩებოდნენ, მე-3 მეოთხედში კი ამერიკელებმა მეტოქე 33:14 გაანადგურეს და საქმის ლოგიკურ ბოლომდე მიყვანა არ გასჭირვებიათ.

გამარჯვებულთა მხრიდან 18 ქულით ყველაზე შედეგიანი ირვინგი გახლდათ, ტომპსონმა და ჰარდენმა კი 16-16 ქულა მიითვალეს. ლიტველთაგან 15-15ქულა ვალანჩიუნასს და კუზმინსკასს მოუგროვდათ, ამ უკანასკნელის აქტივში კი 9 მოხსნაც იყო.

ერთი საინტერესო დეტალიც: ლიტველებმა 42-დან 32 საჯარიმო ჩააგდეს, აშშ-მ კი 20-დან — 11.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ანა ივანოვიჩმა ქველმოქმედებისთვის გაიხადა

პოპულარული სერბი მეჩოგნე ანა ივანოვიჩი ჩოგნის კარგად ქნევის გარდა გამორჩეულად ცნობადი თამამი ფოტოსესიებითაც გახდა და კაცმა რომ თქვას, ეს არც არის გასაკვირი. საკმარისია ამ შხვართ ქალს ერთხელ მაინც შეავლო თვალი, რომ მისი გარეგნობა არასოდეს დაგავიწყდება.

გასულ კვირას ანა ივანოვიჩმა შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში ერთ-ერთი ადგილობრივი ჟურნალისთვის მორიგ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ჩოგბურთელის განცხადებით, ფოტოსესიიდან შემოსული მთელი თანხა ებოლას ვირუსის დასაძლევად შექმნილ ფონდში გადაირიცხება.

უკანასკნელ პერიოდში ცნობილი სპორტსმენებისთვის ქველმოქმედება ერთგვარ სადარბაზო ბარათად იქცა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით სასიხარულო იმითაცაა, რომ წამყვან სპორტსმენებს ბევრი ნაკლებად პოპულარული ადამიანიც ბაძავს და საბოლოო ჯამში ამ გზით არაერთი კარგი საქმე გაკეთდა და კეთდება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ტრანსპორტი

ყვითელ ავტობუსებს ელექტროავტობუსები ჩაანაცვლებს

გაუმართავი მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობისთვის წლების განმავლობაში მოუგვარებელ პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მერიამ 2006 წლიდან დაიწყო ავტოპარკის განახლება, ავტობუსების დიდი ნაწილი ამ დროისთვის მოძველებულია, ზაფხულში მგზავრებს უკონდენციონერობა, ზამთარში კი სიცივე უქმნით დისკომფორტს.

ამ პრობლემებს ისიც ემატება, რომ არც მიკროავტობუსები და არც „ბოგდანის“ ტიპის დიდი ზომის ავტობუსები არ არის ადაპტირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე პირებისთვის. არასამთავრობო ორგანიზაციები და გარემოს უფლებადამცველები კი აცხადებენ, რომ ჰაერის დაბინძურების მთავარი მიზეზი სწორედ გაუმართავი ტრანსპორტია. ეკოლოგიურად სუფთა ელექტროტრანსპორტით დედაქალაქის უზრუნველყოფაზე წინა ხელისუფლების პერიოდშიც აქტიური მსჯელობა მიმდინარეობდა, თუმცა უშედეგოდ.

უახლოეს მომავალში, შესაძლოა, თბილისში ელექტროავტობუსები გამოჩნდეს. ამ საკითხზე რამდენიმე დღის წინათ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელ ბრუნო ბალვანერასთან შეხვედრაზეც იმსჯელა.

ნარმანიამ ხაზი გაუსვა მუნიციპალური ტრანსპორტის ავტოპარკის ალტერნატიულ ენერგიაზე მომუშავე და ადაპტირებული ტრანსპორტით ჩანაცვლების აუცილებლობას, რისთვისაც, მისი თქმით, პირველ ეტაპზე საჭიროა ჩატარდეს შესაბამისი კვლევა. გარდა ამისა, დავით ნარმანიას თქმით, დედაქალაქს სჭირდება ახალი ხიდები და ესტაკადები, რაც ქალაქში არსებული საცობების პრობლემას მოაგვარებს.

ახალი მუნიციპალური ტრანსპორტის შემოყვანის საკითხი საკრებულოს სხდომაზე ცოტა ხნის წინათ შალვა ოგბაიძემაც განიხილა. მისი თქმით, ამ ეტაპზე ლაპარაკია ჰიბრიდულ ან გაზსა და დიზელის საწვავზე ერთდროულად მომუშავე ავტობუსების შეძენაზე. დამატებითი დეტალები ჯერჯერობით უცნობია და მხოლოდ მას შემდეგ გახდება ცნობილი, როდესაც ტენდერი გამოცხადდება.

„ეს ყვითელი ავტობუსები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. დააკვირდით ამ ავტობუსების გამონაბოლქვს, მუხრუჭებს, მაშუქ ელემენტებს... არაფერი არ აქვთ წესრიგში და ნორმირებული. არადა, ტექნიკურ დათვალიერებას სისტემატურად გადიან. ამის მიუხედავად, მაინც გამოჰყავთ სამუშაოდ...“, — განაცხადა შალვა ოგბაიძემ.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ გიგი უგულავას მერობის პერიოდში მიმდინარეობდა მსჯელობა ქალაქში დამატებითი ასი ახალი ევროპული სტანდარტის ე.წ. „მწვანე ავტობუსის“ შემოყვანასთან დაკავშირებით. მაშინ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი აკაკი ჯოხაძე გვპირდებოდა, რომ ავტობუსები აღჭურვილი უნდა ყოფილიყო კონდიცირების უახლესი სისტემით, ადაპტირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე პირებისთვის, ხოლო დიზელის მაგივრად ბუნებრივ საწვავს მოიხმარდა, რაც ხელს შეუწყობდა როგორც ჰაერის ნაკლებ დაბინძურებას, ისე ნაკლებ ფინანსურ დანახარჯს. მსგავსი ტრანსპორტი ქალაქის ქუჩებში დღემდე არავის უნახავს.

სალომე შიხაშვილი

სანთელი

რობერტ (ბაჭა) ცომაია

ბაჭა, ჩემო უკანასკნელო ნათელო წერტილო, ჩემო განუმეორებელო ადამიანო, დადიოდი და დაგქონდა აურაცხელი სიკეთე არა მარტო შენი ახლობლებისთვის, ყველასთვის, ვისაც გაჭირვებული, უპოვარი, წამებული ერქვა. შენს საოცარ ადამიანურ ფენომენზე უნდა იწერებოდეს. ვინ აღმართა შენზე ჯალათის ხელი — შეჩერდა ჩვენთვის დრო. არ შეიძლება, ბიჭა, შენი სიკვდილი, არა და არა. გაიყინა ჩვენთვის ეს სამყარო. შენ გვათბობდი, გვაპურებდი, ტკივილებისგან დატანჯულს, უსახლკაროს შვებას გვაძლევდი. ყველაფრისთვის მადლობა. მშვიდობით არა, მალე შენთან ერთად უნდა ვიყო.

შენი ამალია დეიდა

◎ მცირე ენციკლოპედია

აბა, ვინ უზის საჭეს?

ინსულტის შემდეგ ბევრს ძველებურად ავტომანქანის მართვა სურს, მაგრამ ამ ოცნების ახდენას ზოგი ვერ ახერხებს. მედიკოსებმა საგანგებო ტესტი შეიმუშავეს, რომლითაც უმალ შეიძლება იმის დადგენა, შეძლებს თუ არა კონკრეტული პირი ავტომანქანის მართვას.

თავდაპირველად მეცნიერებმა ოცდაათი ადრე ჩატარებული გამოკვლევის ანალიზი მოახდინეს, რომელიც აღნიშნული საკითხის გარკვევას ეხებოდა. მათი ყველა მონაწილე ავტომანქანის ტარების გამოცდას უშუალოდ გზაზე აბარებდა. მკვლევრებმა გამოცდის ჩატარების მაგივრად სამი მარტივი ტესტის ჩაბარების წინადადება წამოაყენეს, რისი გაკეთება უშუალოდ ექიმის კაბინეტში 15 წუთის განმავლობაში შეიძლება.

ბელგიის ქალაქ ლიოვენის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორის ჰანეს დევოსის განცხადებით, ის, ვინც საგზაო ნიშნების გამოცდის ტესტში 12-დან 8,5 ქულაზე ნაკლებს მიიღებს, კომპასის სარგებლობის ტესტში 32-დან 25 ქულაზე ნაკლებს დაიმსახურებს და მარშრუტის გამოკვლევაზე 90 წამზე მეტს დახარჯავს, ავტომანქანის სრულფასოვნად ტარებას ვერ შეძლებს.

მპემბეს ეფექტი

თერმოდინამიკის კანონები ურყევი კია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის ერთი მოვლენა, რომელიც არავითარ კანონზომიერებას არ ერგება.

იმის შესახებ, რომ, გარკვეულ პირობებში, მდუღარე წყალი შეიძლება არა მარტო გაიყინოს, არამედ ეს ცივზე უფრო სწრაფად „შეძლოს“, ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იცოდნენ. 1969 წელს მეცნიერმა მპემბემ ცდების სერია ჩაატარა, რომლებითაც დაადგინა, რომ აღნიშნული ეფექტი სავსებით რეალურია, თუმცა კი, ამ უნიკალური მოვლენის ფიზიკური არსის ახსნა დღემდე ვერავინ შეძლო.

ოკეანე დედამიწის წიალში

ამერიკის შეერთებული შტატების ილინოისის ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დედამიწის მანტიაში დიდ სიღრმეზე წყლის უზარმაზარი აუზის არსებობის დამამტკიცებელი მონაცემები მოიპოვეს. მათი ვარაუდით, ეს აუზი, რომელიც დედამიწის ზედაპირზე არსებული ერთად აღებულ ყველა ზღვასა და ოკეანეში არსებულზე მეტ წყალს შეიცავს(!!), განსაკუთრებული, უკიდურესად შეკუმშული, დაწნეხილი ქანითაა ამოვსებული, რომელსაც რინგვუდიტი ეწოდება.

მსოფლიოში ავტორიტეტული სამეცნიერო გამოცემის Science“-ის ბოლო ნომერში გამოქვეყნეული გამოკვლევის შედეგებმა მეცნიერებს, როგორც ჩანს, იმის გარკვევაში დაეხმარა, თუ რა გზით წარმოიშვა დედამიწაზე ოკეანეები.

მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც მინერალოგი სტივენ ჯეიკობსენი ხელმძღვანელობდა, ორი ათასი სეისმომეტრის მეშვეობით აკვირდებოდა, თუ როგორ ცვლის დედამიწის შიდა სტრუქტურას მიწისძვრების შედეგად წარმოშობილი სეისმური ტალღები, რომელთა სიჩქარე იმ ქანებზეა დამოკიდეულები, რომლებშიც ისინი ვრცელდება. ძლიერი სითბური ზემოქმედებისა და დედამიწის მანტიაში მაღალი წნევის შედეგად, რინგვუდიტი მასში არსებულ წყალს გამოყოფს, რომელიც წყლის ზედაპირიდან 320-სა და 460 კილომეტრს შორის სიღრმეზეა. ჯერჯერობით უცნობია, მტკნარია ეს წყალი თუ მლაშე.

ახალი აღმოჩენა კიდევ ერთი დამადასტურებელი ნიშანია, რომ ოკეანეები დედამიწაზე ადგილობრივი და არა კოსმოსური წარმოშობისაა.

◎ დედაქალაქი

ბიუჯეტმა 10 მილიონი ლარით იზარალა

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, თბილისის წინა მთავრობასა და „ლიბერთი ბანკის“ გარიგებით თბილისის ბიუჯეტმა 10 მილიონ ლარზე მეტი დაკარგა.

როგორც ნარმანიამ განაცხადა, მერიის ახალმა ხელმძღვანელობამ შეისწავლა მერიასა და „ლიბერთი ბანკს“ შორის 2010 წელის 26 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება საბანკო მომსახურების შესახებ.

ნარმანიას ინფორმაციით, აღნიშნული ბანკი მომსახურების გასაწევად მერიის მიერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე შეირჩა.

როგორც ნარმანია განმარტავს, ხელშეკრულების მიხედვით, ბანკი მერიის ანგარიშებზე არსებულ მიმდინარე ნაშთებს სარგებელს არიცხავდა წლიური 16,05%-ის ოდენობით ლარში არსებულ თანხებზე, 11%-ს აშშ დოლარში არსებულ თანხებს და 8%-ს ევროში არსებულ თანხებზე, თუმცა, 2013 წელს მხარეებს შორის გაფორმდა ახალი შეთანხმება და ეს პროცენტები სრულიად გაუგებრად შემცირდა.

„2013 წლის 17 აპრილს, მერიასა და ბანკს შორის გაფორმდა შეთანხმება 2010 წლის გარიგებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, რომლის მიხედვითაც საპროცენტო სარგებლის დარიცხვა შემცირდა და განისაზღვრა შემდეგნაირად — მინიმალური ზღვარი 40 მილიონი ლარის ქვემოთ არსებულ თანხას ამჟამად ერიცხება 16,05% ლარებში არსებულ ნაშთებზე, ხოლო 40 მილიონ ლარზე ზემოთ არსებულ ნაშთს 4%. აშშ დოლარში არსებულ თანხებს ერიცხება 2%, ხოლო ევროში არსებულ თანხებს ასევე 2%. ვხედავთ, რომ პროცენტები საგრძნობლად არის შემცირებული, 40 მილიონ ლარზე მეტ თანხაზე განისაზღვრა 4%, იმ დროს, როდესაც ნაშთზე არსებული თანხა უმეტესწილად 40 მილიონ ლარზე მეტია. დარღვევა არის ის, რომ მოხდა ბანკის ანგარიშზე არსებულ თანხაზე დარიცხული პროცენტების შემცირება, რის გამოც თბილისის მერიამ 10 მილიონ 500 ათასი ლარი დაკარგა. თუ პროცენტების შემცირებაზე შეთავაზება ბანკის მხრიდან გაკეთდა, მაშინ მერია არ უნდა დათანხმებულიყო და უნდა მოეძებნა ახალი ბანკი, ხოლო, თუ მერიის მხრიდან იყო ეს შეთავაზება, მით უფრო უარესი“, — განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, თბილისის მერიის ახალი ხელმძღვანელობა ეჭვობს, რომ ხელშეკრულებაში აღნიშნული ცვლილების შეტანა განპირობებული იყო გარიგებითა და კერძო ინტერესებით, რის გამოც მერიის ყოფილი მაღალჩინოსნების კორუფციული ქმედებების ნიშნები არ გამოირიცხება. აქედან გამომდინარე, ნარმანიას თქმით, მოძიებული დოკუმენტაცია შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის ორგანოებს გადაეგზავნა და სწორედ სამართალდამცველი ორგანოები დაადგენენ 2013 წლის ხელშეკრულების რეალურ მიზანს და ასევე შესაძლო კერძო ინტერესებს.

მისივე თქმით, თბილისის მერიის ახალი ხელმძღვანელობა ეჭვობს, რომ ხელშეკრულებაში აღნიშნული ცვლილების შეტანა განპირობებული იყო გარიგებითა და კერძო ინტერესებით, რის გამოც მერიის ყოფილი მაღალჩინოსნების კორუფციული ქმედებების ნიშნები არ გამოირიცხება.

◎ პრიმინალი

დააკავეს მუსლიმთა სასწავლებელთან ინციდენტის მონაწილენი

ქობულეთში, მუსლიმთა სასწავლებელთან მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სამი პირია დაკავებული. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ქობულეთში მცხოვრებმა თამაზ გოგიბერიძემ განუცხადა, დაკავებული არიან ძმები ყურშუბაძეები და მათი მეზობელი ნაგერვაძე.

სამივე პირი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტზეა დაკავებული.

10 სექტემბერს, მუსლიმურ პანსიონთან ღორი დაკლეს და ღორის თავი პანსიონის კარზე დაამაგრეს. გუშინ კი პანსიონის გაუქმების მოთხოვნით აქცია გაიმართა. ზემოაღნიშნული პირები ადმინისტრაციული წესით სწორედ ამ აქციაზე საზოგადოებრივი წერიგის დარღვევის გამო დააკავეს. რაც შეეხება 10 სექტემბრის ფაქტს, მასზე გამოძიება 170-ე, მუქარის მუხლით მიმდინარეობს.

რეკლამა
299-62-77; 568 82-09-84.

◎ ინფორმაცია

გიორგი აბაშიძე პატიმრობიდან გათავისუფლდა

აჭარის მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელის ასლან აბაშიძის შვილი და ბათუმის ყოფილი მერი გიორგი აბაშიძე პატიმრობიდან გათავისუფლდა, — ამის შესახებ გიორგი აბაშიძის ადვოკატმა რამინ პაპიძემ განაცხადა.

როგორც რამინ პაპიძემ აღნიშნა, მისთვის უცნობია, გიორგი აბაშიძემ გადაიხადა თუ არა ჯარიმა, რომელიც მას შეუფარდეს. ადვოკატი ამბობს, რომ გათავისუფლების პირობად ჯარიმის გადახდა აუცილებელი არ არის.

გიორგი აბაშიძე სამართალდამცველებმა ხუთშაბათს ღამით დააკავეს. გიორგი აბაშიძე ნარკოლოგიურ შემოწმებაზე წაიყვანეს და ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება დაუდგინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გიორგი აბაშიძეს 500-ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

◎ დაიჯესტი

ვარჯიში დაბადებიდან სიბერემდე

იაპონიაში სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება ფიტნეს-კლუბები... 6 კვირამდე ასაკის ჩვილი ბავშვებისთვის.

ტოკიოში უკვე ათამდე ასეთი სპორტული დარბაზი მოქმედებს. მეცადინეობა მოიცავს გამკაუებელ ტანვარჯიშს, მოქნილობისა და ყურადღების კონცენტრირების ვარჯიშებს. ყველაზე პატარები კი საგანგებო მუსიკის თანხლებით რაღაც ცეკვის მსგავსს სწავლობენ.

სამი წლის ასაკზე უფროს ბავშვებს უფრო რთულ ვარჯიშებს ასწავლიან, რომლებსაც ცვალებადი რიტმის ბურთიანი თამაშების სახე აქვთ. ხოლო ხუთი წლის ასაკზე მეტის ბავშვის ვარჯიშებში უკვე სრულფასოვანი ფიტნესია ცეკვების, აიკიდოსა და კარატეს ელემენტებით. ასეთ ფიტნეს-კლუბებში სავარჯიშოდ იაპონელები კვირაში 100-200 დოლარს იხდიან.

ასევე აღსანიშნავია, რომ ამომავალი მზის ქვეყანაში სამ წლამდე ასაკის ბავშვებს საბრძოლო ხელოვნებათა სკოლებში მანამდეც იღებდნენ.

ოჯახურ ურთიერთობათა სიკეთე

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ის ბავშვები, რომლებიც კვირაში თუნდაც ორჯერ მშობლებისგან ცალკე სადილობენ, სიმსუქნისკენ თავიანთ თანატოლებზე ორჯერ უფრო მეტად არიან მიდრეკილნი. მათ კი, ვინც ოჯახთან ერთად მუდმივად სადილობს, შემდგომში ნარკოტიკებთან და ალკოჰოლთან გაცილებით ნაკლები პრობლემები აქვთ ხოლმე.

თუ ძილი გაკლიათ...

ალუბლის წვენი უძილობის კარგი წამალი ყოფილა.

იგი ჰორმონ მელატონინს შეიცავს, რომელიც ბიორიტმებს არეგულირებს და დაძინებას ხელს უწყობს. საამისოდ საჭიროა ორი კვირის განმავლობაში დილა-საღამოს თითო ჭიქა მჟავე ალუბლის წვენის დალევა. ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ ამის შედეგად ძილის ხანგრძლივობა, საშუალოდ, 90 წუთით იზრდება.

ცუდი კინო

რომანტიკული კომედიებისადმი სიყვარული შეიძლება ნეგატიურად აისახოს ინტიმურ ცხოვრებაზე, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს. სპეციალისტები ამბობენ, რომ ასეთი ფილმები ადამიანებს უყალიბებენ არასწორ წარმოდგენას სამყაროზე და ანიჭებენ ცრუ იმედებს. ადამიანებს, რომლებიც რომანტიკული კომედიების ყურებაში გაიზარდნენ, საბავშვო ასაკში უჩნდებათ არასწორი წარმოდგენა მოზრდილთა სამყაროს შესახებ. ეს, უწინარეს ყოვლისა, შეეხება პარტნიორის მოძებნისა და ოჯახური ცხოვრების აგების საკითხებს. კომედიური მელოდრამების მოყვარულები ხშირად აიდეალებენ პარტნიორებს და, როგორც შედეგი, ისინი ხშირად წბილდებიან სასიყვარულო კავშირურთიერთობებში. ამასთან ერთად ფსიქოლოგებმა აღნიშნეს, რომ ცინიკური კომედიები, პირიქით, მაყურებელს უნერგავენ ნაკლებად სასიხარულო შეხედულებას ურთიერთობათა საკითხზე. ამიტომ ფატალისტები და სკეპტიკოსები სიყვარულისგან არ ელოდებიან ბედის მოულოდნელ საჩუქრებს და ნაკლებად მგრძნობიარენი არიან გაწბილებებისათვის.

უცნობი ქალები უფრო მიმზიდველები არიან

მამაკაცებს უფრო მოსწონთ შემთხვევითი სექსები, ქალებს კი — მუდმივი ურთიერთობანი. მეცნიერებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოაწყვეს გამოკვლევა, რომლის დროსაც დაადგინეს ურთიერთკავშირი ორივე სქესის წარმომადგენლების მიერ ორგაზმის მიღწევის ალბათობისა იმ ტიპის ურთიერთობასთან, რომელშიც ორივე პარტნიორი იმყოფება. აღმოჩნდა, რომ დედაკაცი და მამაკაცი აღწევენ ორგაზმს სრულიად სხვადასხვაგვარ პირობებში. მამაკაცებისთვის გაცილებით მარტივია, მიაღწიონ ორგაზმს შემთხვევითი სექსის დროს არამუდმივ პარტნიორთან. მშვენიერი ნახევრის წარმომადგენლები კი, პირიქით, უფრო ხშირად აღწევენ სექსუალური კმაყოფილების

პიკს, როდესაც ეწევიან სექსს პარტნიორთან, რომელიც მუდმივი ურთიერთობის ობიექტია. გამოკვლევის მონაცემების თანახმად, ქალების მხოლოდ 40 პროცენტს შეუძლია მიაღწიონ ორგაზმს შემთხვევით სექსში. მუდმივ პარტნორთან სექსში ეს მაჩვენებელი 75 პროცენტამდე იზრდება. მამაკაცებში ტენდენცია საპირისპიროა. ძლიერი მეორე ნახევრის 80 პროცენტმა განაცხადა, რომ ორგაზმს გაცილებით მარტივად აღწევს შემთხვევით პარტნიორთან.

შეიძლება დავინახოთ ყურებით?

მოვისმინე, რომ მეცნიერებმა გამოიგონეს მოწყობილება, რომელიც უსინათლოებს საშუალებას აძლევთ, დაინახონ ყურების დახმარებით. ეს როგორ?

ვ. ბარბაძაძე, ხარაგაული

როგორც ნეიროლოგები ისრაელიდან აცხადებენ, მათი ტექნოლოგია საშუალებას აძლევს უსინათლო ადამიანებს, გაარჩიონ ფიგურების მოხაზულობა და მოახდინონ ორიენტირება სივრცეში: გამოსახულება კამერიდან გადადის ბგერით ტალღაში, რომელიც, თავის მხრივ, ამუშავებს თავის ტვინის ქერქს. შედეგად, ტვინი აწვდის ადამიანს „სურათს“ ისეთს, რასაც დელფინები ხედავენ. „ამ შემთხვევაში მუშაობს ტვინის არა ის განყოფილებები, რომლებიც პირველად ინფორმაციას ღებულობენ (მხედველობის ორგანოები), არამედ ისინი, რომლებიც მას ამუშავებენ, — განმარტავს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. ცისანა ქინქლაძე, — მაგალითად: თუ მანქანის პარკირებას ახდენთ რადარის დახმარებით, სისტემა გამოსცემს სიგნალს. ხმის მიხედვით თქვენ აფასებთ მანძილს დაბრკოლებამდე, თუმცა, მას ვერ ხედავთ“.

რეკორდული ქვა შარდის ბუშტიდან

უნგრელმა უროლოგებმა დაამყარეს რეკორდი — შარდის ბუშტიდან ამოიღეს ქვა მას კენჭს უკვე ვეღარ უწოდებ), რომლის დიამეტრი 17 სანტიმეტრია, წონა კი 1,125 კილოგრამი. ქვა აღმოაჩინეს პაციენტის ულტრაბგერითი გამოკვლევის დროს. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ექიმებს მიაჩნიათ, რომ პაციენტს შეიძლება ჰქონდეს იმედი, რომ მოხვდება გინესის რეკორდების წიგნში — ჩვეულებრივად კენჭების დიამეტრი 5-7 სანტიმეტრია.

დილა-საღამოზე ლამაზია

16-დან 17 საათამდე ადამიანის გარეგნობა კარგავს პრეზენტაბელურობას, გამოიკვლიეს მეცნიერებმა ლონდონის ინტენსიური მედიცინის ინსტიტუტიდან.

როდესაც იკვლევდნენ ადამიანის ბიორიტმებს და ჰორმონების გამომუშავებას დღე და ღამის სხვადასხვა დროს, მეცნიერებმა განსაზღვრეს, თუ, კერძოდ, როდის კარგავენ ადამიანები მიმზიდველობას.

გამოკვლევის ხელმძღვანელი ენტონი სავა მიიჩნევს, რომ ადამიანის გარეგნობაზე გავლენას ახდენენ ჰორმონები, რომელთა გამომუშავებაც ბიორიტმებზეა დამოკიდებული. სისხლში სწორედ ჰორმონების დონე განსაზღვრავს ჩვენს აქტიურობას და გარეგნულ იერს. მეცნიერი მივიდა დასკვნამდე, რომ ყველაზე ცუდად ადამიანი გამოიყურება 16-დან 17 საათამდე: დროის ამ შუალედში ნაოჭები ღრმავდება, უპეები თვალის ქვეშ იბერება. მისი აზრით, ამ დროს სისხლში ქვეითდება გლუკოზის დონე და, ამას გარდა, კრიტიკულ ნიშნულამდე იზრდება სამუშაო სტრესი, რომელიც დაღლილობას იწვევს. ყველაზე კარგად კი ადამიანი გამოიყურება დილით, ვინაიდან ძილი, მეცნიერის სიტყვებით — ეს ყველაზე მნიშვნელოვანი კოსმეტიკური პროცედურაა. ამ დროს უჯრედების უნარი რეგენერაციისაკენ ყველაზე მაღალია. სილამაზის დრო სწრაფადმდინარია — შუადღისათვის სახე თანდათან იწყებს თავისი სიქორფის დაკარგვას.

ლამაზები და ჯანმრთელები

მიმზიდველი გარეგნობის ადამიანები — უფრო იშვიათად ხდებან ავად — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები, როდესაც აწარმოებდნენ გამოკვლევებს, 10 წელი რომ გრძელდებოდა. სწავლობდნენ 24-35 წლის ქალებისა და მამაკაცების ჯანმრთელობის მდგომარეობას. აღმოჩნდა, რომ ლამაზი მამაკაცები 13 პროცენტით უფრო იშვიათად იტანჯებიან ქოლესტერინის გაზრდილი დონისაგან, 20 პროცენტით — მაღალი არტერიული წნევისაგან, 15 პროცენტით — დეპრესიისაგან, 23 პროცენტით — ყურადღებისა და ჰიპერაქტიურობის დეფიციტის სინდრომისაგან, 21 პროცენტით — ენაბლუობისაგან. ლამაზი ქალები კი 12 პროცენტით უფრო იშვიათად ავად ასთმისგან, 21 პროცენტით უფრო იშვიათად იტანჯებიან ჰიპერტონიისაგან, 22 პროცენტით — დიაბეტისგან, 13 პროცენტით — ყურებში შუილისგან, 18 პროცენტით — ყურადღებისა და ჰიპერაქტიურობის დეფიციტის სინდრომისგან, 18 პროცენტით — ენაბლუობისაგან.

მეცნიერთა აზრით, სილამაზისა და ჯანმრთელობის გენდების შეხამება ჩაფიქრებულია ბუნების მიერ ჯანმრთელი ბავშვების დაბადების ალბათობის გაზრდისათვის.

◎ კადრი



◎ ცინცხალი ანეკდოტები

მიხო თავის ვაჟთან ერთად მანქანით მიდის. საჭეს ბიჭი უზის.

— მამი, რას იტყვი, კარგად ვიცი მანქანის ტარება?

— ჯერ ის მითხარი, ტროტუარზე, სვეტაფორთან რომ მოკლეკაბიანი გოგო იდგა, თუ დაინახე?

— არა, არ დამინახავს.

— ჰოდა, ჯერ კიდევ არ იცი კარგად ტარება...

* * *

— ნამდვილად მივატოვებ სმას.

— რატომ?

— შენ წლევანდელი ზაფხული გახსოვს.

— კი.

— მე კი არ მახსოვს.

* * *

ავტობუსი ხალხით არის სავსე. რომ იტყვიან, სალონში, ნემსიც ვერ ჩავარდება. უცებ ისმის ქალის აღშფოთებული ხმა:

— მამაკაცო, რას შვრებით!

პაუზა. მერე ისევ იმავე ქალის ხმა.

— მამაკაცო, რას შვრებით-მეთქი?!

პაუზა. და უცებ დაინტერესებული ხმა უკანა რიგიდან:

— მამაკაცო, რატომ არაფერს არ ამბობ?

* * *

ლოსი, რომელმაც ვერაფრით ვერ ჩამოიყარა რქები შემოდგომაზე, მიხვდა: ღალატობენ.

* * *

— **ძალო**, შენ მეზღვაური ხარ, მეც მეზღვარი ვარ.

— შენ მეთევზე ხარ, მეც მეთევზე ვარ.

— შენ ხმელეთზე ხარ, მე კი — ზღვაში, როგორ დაფეხმძიმდი?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონის ქუჩა) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24